პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 174 სამშაბათი 30 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 174

დღიური

— პუანკარემ უარყო საკონტრიბუციო საკითხზე საპასუხო ნოტის პროექტი, რომელიც ინგლისის მთავრობამ შეადგინა.

— გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში ხდება შეტაკებები კომუნისტებსა და პოლიციას შორის.

— პასიური წინააღმდეგობა რურში სუსტდება.

— ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა ინდოელებს ევროპელებთან უფლებებში გათანასწორებაზე. ამ გადაწყვეტილებამ დიდი აღელვება გამოიწვია ინდოეთში.

— ბულგარეთის მთავრობამ გაანთავისუფლა ამხ. კოლლაროვი,

დღეს, 31 ივლისს, 1923 წელს, საღამოს 6 საათზე
ალმასკომის ბინაზე შესდგება

თბილისის ალმასკომის სხდომა

დღის წესრიგი:

1. წყალზე ახალი ტარიფის შემოღების შესახებ.
2. საინფორმაციო ხასიათის მოხსენება „უქს"-ის (ტუნის) მუშაობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის თბილისის კომიტეტი იუწყება,

რომ ოთხშაბათს, 1-ლ აგვისტოს, საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის თბილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო და სამაზრო კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.—მომხსენებელი ამხ. ელიავა.
2. ახალგაზრდობის კომკავშირის სრულიად რუსეთის კონფერენციის შედეგები.—მომხს. ამხ. **დევდარიანი.**
3. ს. კ. ახალგაზრ. კავშირის თბილისის კომიტეტის ანგარიში და შემდეგი მუშაობის გეგმა.
4. სხვა და სხვა საკითხები.

კონფერენციის გახსნაზე მოწვეული არიან ს. კ. ა. კავშირის თბილისის ორგანიზაციის წევრები.

სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

აუცილებელი აღსასრული

(დაშნაკელების დეკლარაციის გამო).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც მოქმედებდა ამ წასული ოცი წლის განმავლობაში კავკასიის და საერთოდ ახლო-აღმოსავლეთის ხალხთა შორის, ასე ხანგრძლივად და ასე მჭიდროთ არ ყოფილა დაკავშირებული თავისი ერის სხვა და სხვა კლასებთან, როგორც სომხური პარტია დაშნაკციუტუნი. პოლიტიკურად მას დამორჩილებული ჰყავდა ხალხის დიდძალი მასები,—დაწყებული ნეგოციანტებიდან და გათავებული გლეხობით,—ისევე, როგორც სარწმუნოებრივ სფეროში ამ მასებს ფლობდა სომხური კლერიკალიზმი, რომელიც იყო დაშნაკიზმის ერთგული მოკავშირე და პროპაგანდისტი.

მეორეს მხრივ, არც ერთ პარტიას, გარდა დაშნაკელების პარტიისა, არ აქვს ისეთი სამწუხარო უპირატესობა თავის პროგრამის სრულ გაკოტრების საქმეში, გაკოტრების, რომელსაც თან სდევდა მასზე დანდობილ ხალხთა მასების [illegible], ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება, მათი ფიზიკური განადგურება და საუკუნო ლტოლვილათ გადაქცევა. დაშნაკელების გატეხილი გონი დასცურავს დღეს მათ მიერ სასტიკად მოტყუებულ ხალხთა მასების სისხლის და ცრემლების ზღვაში, და მხოლოდ საბჭოთა ვარსკვლავი არის ერთად-ერთი იმედი გადარჩენილ და მთელ მსოფლიოში გაფანტულ მრავალ-ტანჯულ სომხებისათვის.

რამ გამოიწვია და მოამზადა ასეთი სისხლიანი დასასრული? რა თქმა უნდა არა დაშნაკელების ბოროტმა სურვილმა, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, არა იმდენად მათმა ბოროტმა სურვილმა, რამდენადაც მათმა კლასობრივმა ბუნებამ, რომელიც ილტვოდა „დიდ სახელმწიფოებისაკენ" ოსმალეთის სომხეთის „განთავისუფლების" და ზღვიდან-ზღვამდე გადაჭიმულ „დიდი სომხეთის" დაარსების მიზნით. ეროვნული შხამის თესლი, რომელიც ეშმაკური გაიძვერობით დათესა ევროპის სახელმწიფოების ბერლინის კონგრესმა, დაჟინებითი მზრუნველობით ინახებოდა სომხეთის „მაღალ" მოღვაწეთა შთამამავლობაში. ეს რწმენა სახელმწიფოების „ჩარევისა" „დაავადებულ" სულთანის ოსმალეთის და მის ქრისტიან უმცირესობის შორის არსებულ ჭიდილში, სავსებით იყო შეთვისებული დაშნაკციუტუნის პარტიის ხელმძღვანელთა მიერ და ამით შექმნილი იყო მუდმივი პროვოკაციის ატმოსფერა: სახელმწიფოების მხრივ ყოველ ზედდაწოლაზე აბდულ-გამიდის გალიზიანებული და „დაავადებული" რეჟიმი, კრიზისის თავიდან აშორების შემდეგ უპასუხებდა სომხების აკლებით; არაფერი არ შეცვლილა არც „ახალგაზრდა-თურქების" გადატრიალების შემდეგ—პირიქით, ეროვნულ შუღლის ატმოსფერა კიდევ უფრო დამძიმდა, სომხეთის ხალხის ცოცხალი სხეული კიდევ უფრო ხშირად განიცდიდა სისხლის-მღვრელ დარბევის და ხოცვა-ჟლეტის საშინელებას იმ დროს, როდესაც სახელმწიფოები დამშვიდებული გულგრილობით უყურებდენ ამას და უკეთეს შემთხვევაში, დაგვიანებით აგზავნიდენ წერილობით პროტესტს და მოითხოვდენ კომისიების, ევროპის ჟანდარმერიის და სხვ. დაარსებას.

დაშნაკელების პარტიამ ვერ გამოიყვანა აქედან სწორი დასკვნა: მისი პროგრამის მთავარ საფუძველს მაინც შეადგენდა ევროპის სახელმწიფოების მიერ ოსმალეთის ნანგრევებზე დაარსებულ დიდი სომხეთის იდეა. 1914 წლის ომის დასაწყისი იყო დაშნაკელების პროვოკაციული მუშაობის დასაწყისი კავკასიის მეფის მოადგილის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სასახლეში და კიდევ უფრო მეტად გრაფინიას სალონში: მეფის არმიის ხელიდან მათ უნდოდათ მიეღოთ სანუკვარი დიდი ჰაიასტანი. მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად ინება. რუსეთი—ანტანტის კოალიციის ერთ-ერთი რგოლი გადაიქცა პროლეტარულ რევოლიუციის ტერიტორიად, მისი ჯარები მოიხსნენ სისხლის მღვრელ საგარეო ფრონტებზე. დღის წესრიგში დაუყოვნებლივ იქნა დასმული ახალი ტრაგიკული საშინელებანი სომხეთის მასებისათვის, საშინელებანი, რომელიც რამოდენიმედ სამაგიეროს გარდა იყო სომხეთის რაზმების იმ სიმხეცისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთში შეჭრილ რუსეთის ჯარების ზურგს უკან.

დიდი სომხეთის ნაცვლად დაშნაკელები იძულებით იქმნენ ჩასახლებულნი სომხეთის „დამოუკიდებელ" რესპუბლიკაში, რომელიც გამოიჭრა ამიერ-კავკასიის ერთ-ნახევარ გუბერნიიდან. მაგრამ გამოფხიზლების ნიშნები არ ემჩნევოდა მათ პოლიტიკას: როგორც კი ამიერ-კავკასიის გერმანულ-ოსმალური ოკუპაცია შეიცვალა ანტანტის ოკუპაციით—ინგლისის სახით, მაშინვე აენთოთ დაშნაკელებს სიყვარული „განმანთავისუფლებლებისადმი", მათ შორის განმანთავისუფლებელ დენიკინისადმიც. ჩამოყალიბდა რა, როგორც შეურიგებელი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ძალა, დაშნაკელების პარტიამ ვერ შესძლო საერთო ენის გამონახვა ამიერ-კავკასიის ორ სხვა ბოროტ გენიოსებთან მენშევიკებთან და მუსავატისტებთან. სამივე რესპუბლიკის შორის რიგ-რიგობით მომხდარმა სისხლის მღვრელმა შეტაკებამ და პროვოკაციულმა მუშაობამ, რომელიც მიმართული იყო სომხების და მუსლიმანების ერთმანეთისადმი დაპირდაპირებისაკენ, გამოიწვია ახალი სისხლის ღვრა და აყვავებულ რაიონების განადგურება: ამ სისხლით მორწყულ მინდორზე დაშნაკელები მენშევიკებთან და მუსავატისტებთან ერთად ხნავდენ ანტი-საბჭოთა გუთნით.

კავშირმა ანტანტასთან, რომელიც სცდილობდა ქემალისტურ ოსმალეთის წახრჩობას, ხელახლა გამოიწვია დაშნაკელების შეტაკება სამხრეთის მეზობელთან. ვითომდა ზურგის გამაგრების სახით, რომელსაც ინგლისელები აწოდებდენ იარაღს და სამხედრო მასალას, ოსმალეთი თავს დაესხა სომხეთს. და მხოლოდ საბჭოთა გადატრიალებამ დაუდო საზღვარი ოსმალეთის არმიის წინსვლას, მიუხედავათ დაშნაკელების ცდისა, მოლაპარაკებოდენ „საუკუნო" მტერს მუშათა-და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად როგორც სომხეთში, ისე რუსეთში.

სომხეთი სამუდამოთ განთავისუფლდა დაშნაკურ ბატონობის წყევლაკრულვისაგან. თებერვლის გადატრიალების ცდა, რომლის მიზანი იყო სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და გასაბჭოებულ საქართველოზე ზურგიდან თავდასხმა და ამის შემდეგ მომხდარი ზანგეზურის ამბები მხოლოდ დემონსტრაცია იყო მონოპოლისტ-პარტიის მზის ჩასვლისა. ფართო მასებისათვისაც აშკარა გახდა, რომ „სახელმწიფოებისადმი" მონური ერთგულებით არ შეიძლება არც პატარა და არც დიდი სომხეთის შექმნა, რომ მხოლოდ მაუზერზე და შურისძიების გრძნობებზე არ შეიძლება სწორი პოლიტიკის დამყარება; რომ ეროვნული პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს კლასიურ პოლიტიკისაგან, რომელიც არის ინტერნაციონალური; და რომ საბჭოთა წესწყობილების და საბჭ. სოც. რუსეთთან კავშირის გარეშე შეუძლებელია ხსნა, მშვიდობიანობა, არ შეიქმნება პირობები მუშაობისა, პროგრესისა და კულტურისათვის.

ეს გამოღვიძებული ხალხთა თვითშეგნება იყო და არის სასიკვდილო განაჩენი დაშნაკელების პარტიისათვის, რომელიც განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უმთავრესად საზღვარ-გარეთ, მაგრამ გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება კავკასიის დაშნაკელების დეკლარაცია, რომელიც ამოწმებს დიდ წინ-წაწევას მათ პოლიტიკურ აზროვნებაში; აღიარება, რომ ანტანტას, გარდა უბედურებისა, არაფერი მოუტანია სომხეთისათვის, და რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის სომხეთის ხალხის ერთად-ერთი ერთგული დამცველი, არის დაშნაკციუტუნის პარტიის პოლიტიკური და ნაციონალური პროგრამის სრული გაკოტრების აღიარება. ამ მხრივ დეკლარაცია წარმოადგენს ფრიად საყურადღებო პოლიტიკურ დოკუმენტს.

მიუხედავათ მთელ რიგ შემცდარ მტკიცებათა, რომელიც ბუნებრივი შედეგი იყო გუშინდელი შემცდარი პოზიციისა, დეკლარაცია არის პარტიის დიდ და ძირითად შეცდომათა ალსარება. და თუმცა დეკლარაციის ავტორებს არ გამოჰყავთ დღესვე ისეთი დასკვნები, რომელიც უკვე გააკეთეს თვალახელილმა სოციალ-რევოლიუციონერებმა და ქართველმა მენშევიკებმა, რომელთაც ერთხელ და სამუდამოთ გასწყვიტეს კავშირი თავიან პარტიებთან და დაშლილად გამოაცხადეს თავისი ორგანიზაციები, მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ხვალ ისინი გადასდგამენ ამ აუცილებელ ნაბიჯსაც.

ასეა თუ ისე, ამ სახითაც კავკასიის დაშნაკელების დეკლარაცია ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენი პარტიის და მთელი კომინტერნის ტაქტიკის აბსოლიუტურ სისწორეს.

მ. ამია.

მისი უდიდებულესობის ლაქიები

მუშურმა რუსეთმა იცის გვარი სნოუდენი. 1920 წელს ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციასთან ერთად გვესტუმრა ჩვენ ქალბატონი ეცელ სნოუდენი. ლონდონში დაბრუნების შემდეგ ამ ქალბატონმა ბურჟუაზიულ გამომცემლობაში დაბეჭდა წიგნაკი, რომელშიაც ბურჟუაზიული გამომცემლისაგან მიღებულ ფულის წყალობით ნაცარ-ტუტათ აქცია საბჭოთა რუსეთი.*) მოხდენილი ქალბატონი სნოუდენი, რომელსაც საშინლად ეშინოდა, რომ მის თეთრეულის არშიაში არ შეპარულიყო ბოლშევიკური ტილი,—არის მეუღლე მუშურ ევროპაში არა ნაკლებ ცნობილ ბ.-ნ ფილიპე სნოუდენისა.

ბატონმა სნოუდენმა ამას წინად სახელი გაითქვა მის მიერ წარმოთქმულ ორი სიტყვით ინგლისის პარლამენტში, სადაც ის ზის. თავის თავად ცხადია, მუშა-დეპუტატის სახით, ამ მეუღლემ წარმოსთქვა სიტყვა შემდეგ თამაზე: „ბატონო კაპიტალისტებო, იქნებ მოისურვოთ, ინგლისში სოციალიზმის შემოღება? ჩვენ ყოველგვარ ზარალს აგინაზღაურებთ თქვენო".

მას შემდეგ, რაც ფილიპე სნოუდენმა თავი გააცნო საპარლამენტო ტრიბუნიდან ინგლისის კაპიტალისტებს, როგორც ადამიანმა, რომელსაც უმტკივნეულოთ შეუძლია კბილის მოგლეჯა, მან მოათავსა ინგლისის კაპიტალისტების ყველაზე უფრო შავრაზმულ ხელმძღვანელ ორგანო „მორნინგ პოსტში" წერილების მთელი სერია, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ „როდესაც მუშათა კლასი გაბატონდება", კაპიტალისტებს არა თუ ერთი ღერი თმა არ ჩამოსცვივათ, არამედ ისინი როგორც სამოთხეში იგრძნობენ თავსო. ის დაჰპირდა მათ, რომ მუშათა წინამძღოლები, რომელნიც მთავრობაში შევლენ, იმოქმედებენ თავიანთ პარტიისაგან სრულიად დამოუკიდებლათ. პარტია კარგია იმისათვის, რათა დაიპყროს მათთვის ძალა-უფლება, რათა შეიმუშავოს საერთო რეზოლიუციები, მაგრამ არც ერთი მტკიცე ხასიათის ადამიანი,—ბატონი სნოუდენები ხომ, თავისთავად ცხადია, მტკიცე ხასიათისანი არიან,—თავის თავს ნებას არ მისცემს მიიღოს დირექტივები შავი მუშებისაგან.

ბ-ნ სნოუდენების მთავრობა არ შეეხება სხვის საკუთრებას და, თუ მას მოუხდება რისიმე ნაციონალიზაციის გატარება, რა თქმა უნდა ის, ამისათვის გაიღებს შესაფერ ჯილდოს. რა განსხვავება იქნება მუშებისათვის, აუნაზღაურებენ ისინი კაპიტალისტებს მათ მოგებას გადასახადების სახით, თუ უშუალოთ შეიტანენ ამ გადასახადს ფაბრიკაში,—ეს ბ-ნმა სნოუდენმა არ განმარტა.

მაგრამ კაპიტალისტების სამუდამოთ დასამშვიდებლად მან უამბო მათ, რომ რამდენადაც არსებობს დიდი სახელმწიფოების იმპერიალიზმი, იმდენად ინდოეთის და სხვა კოლონიების განთავისუფლება, არ მოასწავებდა მათ თავისუფლების უზრუნველყოფას, მხოლოდ გახდიდა მათ სხვა სახელმწიფოების დაპყრობის საგნად". ამიტომ ისინი უნდა დარჩენ ინგლისის ხელში. მხოლოდ როდესაც ინგლისის ლორდების ბატონობის ქვეშ ისინი შეისწავლიან თავისუფლებით სარგებლობას, მაშინ შეიძლება მათი განთავისუფლებაო. ყველაფერი ეს დაბეჭდილია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყველაზე უაღრესად იმპერიალისტურ სულთამხუთავების გაზეთში.

ამ დღეებში სნოუდენი შეკითხვით გამოვიდა ინგლისის პარლამენტში. თქვენ გგონიათ, მკითხველო, რომ ის შეეკითხა, თუ როდის შესწყვეტს ინგლისის მთავრობა ინდოეთში და მესოპოტამიაში ჰაეროპლანებიდან ბომბების გადაყრას და აირჩევს სხვა გზას ინდუსების და არაბების გასათვითცნობიერებლად?

არა, ბ-ნი სნოუდენი შეეკითხა ლორდ-კერზონს: მოიხსენიება თუ არა ჩაგრულ ხალხთა ამ მეგობარს, რომ საქართველო სცხოვრობს მძიმე უღელის ქვეშ, რომ იქ უმაღლეს სამღვდელოებასაც ავიწროებენ და რა ზომების მიღებას ფიქრობს კერზონი, რათა ზეგავლენა მოახდინოს საბჭოთა მთავრობაზე, რომ მან უარი სთქვას ტერორზე?

ლორდ-კერზონის სასახელო მოადგილემ, მინისტრმა მაკნეიმ, რომელიც ცნობილია კაცობრიობის ისტორიაში მით, რომ ის არის ავტორი წიგნის „ირლანდიელების ალაგმვის სარგებლობის შესახებ", თვალებზე ცრემლ-მორეულმა უპასუხა, რომ მას აქვს იგივე ცნობები, რაც ბ-ნ სნოუდენს; მან იცის, რომ საბჭოთა მთავრობამ ძალადატანებით აიძულა საქართველო შესულიყო საბჭოთა ფედერაციაში, მაგრამ ბოლშევიკებთან ნოტებით ბრძოლა უნაყოფოა, ვინაიდან „**Васька слушает да ест**"; რაც შეეხება უფრო გაბედულ ზომებს, ეს დღევანდელ მომენტში შეუძლებელია. ბ-ნმა სნოუდენმა ჰკითხა მაშინ ინგლისის იმპერიალიზმის წარმომადგენელს,—ფიქრობს თუ არა მთავრობა საბჭოთა რუსეთის ცნობის პირობად დააყენოს რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა? ბ-ნმა მაკ-ნეიმ უპასუხა, რომ ის სავსებით ეთანხმება სნოუდენს, მაგრამ მას არ შეუძლია მისცეს ამ მხრივ რაიმე ვალდებულებაო.

2-ე ინტერნაციონალის წევრის ბ-ნ სნოუდენის, ჩვენი მენშევიკების და ესერების ამხანაგის იმპერიალისტური მგლებისადმი ისეთი მიმართვის სირცხვილი, რომელშიაც იყო თხოვნა ბრძოლა დაიწყონ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ,—ხაზგასმული იყო იმით, რომ ბურჟუაზიული დეპუტატი კენვორტი შეეკითხა მაკ-ნეის: მოეხსენება თუ არა მას, რომ წითელი არმია შევიდა საქართველოში აჯანყებულ ქართველ ხალხის დასახმარებლად და რომ საქართველოში ამ ჟამად სრული სიმშვიდეაო? ბ-ნ მაკ-ნეიმ ამ შეკითხვაზე არაფერი არ უპასუხა, მაშინ კენვორტიმ დაიძახა: „ვესალმები ახალ კოალიციას: სნოუდენ-მაკ-ნეის? ბ-ნო სნოუდენო, გადაჯექით ახლოს მთავრობის სკამებთან." ბ-ნი სნოუდენი სპილენძის შუბლით,—არ გააწითლა ამ სინდისიერ ბურჟუაზიულ დეპუტატის მათრახის გადაკვრამ.

როდესაც ბ-ნ სნოუდენები მოთქმით გამოდიოდენ საქართველოს შესახებ, ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამას სჩადიოდენ ისინი მდგომარეობის ფილისტერულ უცოდინარობით. ბ-ნმა სნოუდენმა დაამტკიცა ეხლა, რომ ჩვენ გულუბრყვილო ბავშვები ვიყავით, როდესაც გვჯეროდა ამ ადამიანების პატიოსან შეცდომების.

ბ-ნი სნოუდენი, რომელიც უარს ამბობს ინდოეთის განთავისუფლებაზე, რათა ეს უკანასკნელი სხვა იმპერიალისტებს არ ჩაუვარდეთ ხელში, და რომელიც მოითხოვს, რათა საბჭოთა საქართველო განთავისუფლდეს თავის-თავისაგან და ხელში ჩაუვარდეს ინგლისის იმპერიალიზმს, ვინაიდან ის არც ისეთი სულელია, ლოზანის შემდეგ ვერ გაიგოს, რომ საქართველო საბჭოთა ჯარების დაუხმარებლად იქნებოდა ინგლისის სამხედრო გემების ზარბაზნების ბატონობის ქვეშ,—ბ-ნი სნოუდენი, რომელიც მიმართავს ლორდ კერზონს საბჭოთა მთავრობაზე საჩივრით, ამტკიცებს, რომ მას უნდოდა მხოლოდ დაემტკიცებია ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე: თქვენო უდიდებულესობავ, მე ყმა ვარ, მზად ვარ გემსახუროთ და თუ როდესმე ხელში ჩავიგდე ძალა-უფლება, არ იქნება ისეთი ბინძური საქმე, რომელსაც მე არ ჩავიდენ ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოთ.

ქ-ნ სნოუდენის შემდეგ თავი გააცნო რუსეთის მუშებს ბ-ნმა სნოუდენმაც. ჩვენ მადლობელი ვართ მისი ასეთი გულწრფელი გამოსვლისათვის: იგი დახმარებას გაუწევს რუსეთის მუშებს, და ვიმედოვნებთ, ინგლისის ყველა პატიოსან მუშებსაც—გაიგონ, რამდენად მართალი ვართ ჩვენ, როდესაც ბ-ნ სნოუდენებს უწოდებთ სახელად: ბურჟუაზიის საზიზღარ ლაქიებს.

ქ. რადეკი.

---

*) როგორც ქართველ მშრომელ ხალხს ეხსომება, ქალბატონი სნოუდენი, II ინტერნაციონალის დელეგაციასთან ერთად, ეწვია ჩვენს ქვეყანას მენშევიკების ბატონობის დროს, ხოლო შემდეგ „ნაცარ-ტუტად აქცია" საბჭოთა საქართველოც. რედ.

„დაშნაკციუტუნის" დეკლარაცია

თებერვლის რევოლიუციის, კავკასიის ფრონტიდან რუსეთის ჯარების წასვლის და ამასთან დაკავშირებული ამბების შემდეგ, სომეხი ხალხი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ვერც ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ვერც ამიერ-კავკასიის სეიმი ვერ გახდენ შემაკავშირებელი რგოლი ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ერებსა და ტომებს შორის. ერთის მხრით გაბატონებული მუსლიმანური ელემენტები აშკარად ილტვოდენ ოსმალეთთან გაერთიანებისაკენ და კავკასიაში ოსმალეთის ბატონობის დამყარებას ცდილობდენ, მეორე მხრით—საქართველოს ნაციონალისტურმა ჯგუფებმა გამართეს მოლაპარაკება ოსმალებთან და გერმანელებთან და ილტვოდენ დამოუკიდებლობისაკენ და ამიერ-კავკასიაში თავისი ჰეგემონიის დამყარებისაკენ. ასეთ პირობებში სომეხი ხალხის ხელმძღვანელი წრეები თავისი ერის ფიზიკური არსებობის გარანტიას ხედავდენ რუსეთის გავლენის გაძლიერებაში ან კავკასიაში ევროპის რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალის მოსვლაში. უკანასკნელის განხორციელებამ სულ მოკლე ხანში არ გაამართლა სომეხი ერის მასების მოლოდინი და იმედები.

ოსმალების შემოჭრა ამიერ-კავკასიის შიგნით და მათი ლტოლვა ბაქოსაკენ სომეხ ერს აყენებდა საშინელი საფრთხის წინაშე. ყოველი მხრიდან მტრული ძალებით გარშემორტყმული, ის იძულებული გახდა მოეწყო ნაციონალური თავდაცვა. ამიერ-კავკასიის გამოცხადება რუსეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ნაციონალური რესპუბლიკების გამოცხადება ხდებოდა სომხებისათვის მეტად არახელსაყრელ ისტორიულ პირობებში. უმთავრესად ტერიტორიალური საკითხების ნიადაგზე სამ ერს შორის ხდებოდა მუდმივი კონფლიქტები, რომლებიც ხშირად აშკარა შეიარაღებული შეტაკების ხასიათს იღებდენ, რის შედეგი იყო გაღატაკება მრავალ სოფლებისა და მასებისა, რომლებიც უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ. ინგლისელების ყოფნამ კავკასიაში ვერ მოუღო ბოლო ნაციონალურ ქიშპობას, ტერიტორიის განსაზღვრის საკითხში ინგლისელების მიერ მიღებული ზომები კი, ამზადებდენ ნიადაგს მომავალში განუწყვეტელი კონფლიქტებისათვის; აქედან ნათლად სჩანდა, რომ ამიერ-კავკასიის ერებს შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება ინგლისის ინტერესებში არ შედიოდა.

გადაიქცა რა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სომხეთის რესპუბლიკამ, რომელიც ძლიერ შეზღუდული იყო ტერიტორიალურად და თან მოწყვეტილი იყო მთელ მსოფლიოდან, მაინც გადასწყვიტა შეენარჩუნებია თავის დამოუკიდებლობა და განემტკიცებია იგი. მაგრამ ეს მის ძალებს აღემატებოდა, რადგან გარშემო მყოფი ელემენტების მტრული დამოკიდებულება არ აძლევდა მას ეკონომიური განვითარების და განმტკიცების საშვალებას, 1920 წელს ოსმალეთის შემოტევამ კი საბოლოოდ გასტეხა ის წელში. ამის შემდეგ, დაშნაკციუტუნი, რომელიც მუდმივ ხელმძღვანელობდა სომხეთის რესპუბლიკის პოლიტიკას, ყოველივე მომხდარის შემდეგ ისტორიულ მოვლენათა აუცილებელი მსვლელობის გამო იძულებული გახდა სომხეთის ერის დარჩენილი ნაწილის გადასარჩენად დათანხმებულიყო სომხეთის გასაბჭოებაზე, დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს ერისა და ქვეყნის არსებობა.

სამი წლის არსებობის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ნაციონალისტური ვნებათა ღელვის დაწყნარება, რესპუბლიკებს შორის ტერიტორიის განსაზღვრა, მიწის საკითხის გადაჭრა, ხალხისათვის ზავის მიცემა და სამეურნეო აღმშენებლობისათვის და კულტურული განვითარებისათვის პირობების შექმნა.

დაშნაკციუტუნის კავკასიის ორგანიზაციებმა გულწრფელად გადასწყვიტეს არ იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არ შეუშალონ მას ხელი სომხეთში მუშაობაში იმ რწმენით, რომ ის თანახმად თავისი პრინციპებისა, არა თუ გაამაგრებს სომხეთის ერის პოლიტიკურ და დამოუკიდებელ არსებობას, არამედ გადასჭრის კიდეც. ის აგრეთვე დარწმუნებულია, რომ ოსმალეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოვა იმ ჩიხიდან, რომელშიც ის მოექცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დააკანონებს წვრილი ერების ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას და აღიარებს მათი თვითგამორკვევის უფლებას. მაგრამ ეს ჩვენი რწმენა არ უნდა გვავიწყებდეს იმას, რომ ანტანტა ვითომდა წვრილი ერების დახმარების სახით, არა თუ არ ათავისუფლებს მათ, არამედ სჭედს მათთვის ახალ ბორკილებს, სომხეთის ერისთავის კი ამზადებს განუწყვეტელ უბედურებას და ტანჯვას, რის მაგალითია კილიკია.

განსაკუთრებით ის მოელის საბჭოთა ხელისუფლებისაგან იმ მრავალრიცხოვან სომხების მდგომარეობის შემსუბუქებას, რომლებიც განდევნილი არიან თავისი ქვეყნიდან და სხვა და სხვა სახელმწიფოებში აფარებენ თავს.

დაჩაგრული ერების განმათავისუფლებელი ს. ს. რ. კ. წითელი არმიის დახმარებით შექმნილი ნაციონალური ნაწილები, შესძლებენ უზრუნველყონ მშვიდობიანობა მშობელი ველებისათვის, სადაც შრომობს გლეხობა, იმ 700 ათასი ლტოლვილის პრობლემის გადაჭრა კი, რომლებიც უცდიან თავისი სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შეუძლია მხოლოდ რუსეთის მშრომელთა რესპუბლიკას, რადგან მხოლოდ მას შეუძლია სამართლიანად და უანგაროდ გახდეს დაჩაგრული ერების ინტერესების დამცველი.

დავრწმუნდით რა იმაში, რომ ამიერიდან საბჭოთა რუსეთი არ დასთმობს სომხეთის მიწის არც ერთ ნაჭერს და, როგორც დაჩაგრული ერების დამცველი განახორციელებს მათ სამართლიან მოთხოვნილებებს, ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ ვაცხადებთ, რომ ჩვენ არა ვართ მტრები საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელთანაც ამიერიდან დაკავშირებულია სომეხი ერის ბედი.

და ყველა ის, რომელიც აწარმოებს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზე, ისე საზღვარ-გარეთ, არის სომხეთის ხალხის მოღალატე და მტერი.

1. კავკასიის ჯგუფების და საქართველოს ც. კ. („აშხატავორ") რწმუნებული **დრო.**
2. საქართველოს ც. კ. („აშხატავორ") თავმჯდომარე **ქ. გაზაზიანი.**

წევრები: 3. **ხ. ტოფჩიანი.**
4. **მ. მაკარიანი.**
5. **ა. ნალჩაჩიანი;**
6. **ტ. ავეტისიანი.**
7. **ა. ისრაელიანი.**

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას" ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

საფრანგეთი და ს. ს. რ. კ.

საფრანგეთის ნავთის მრეწველთა ორგანო „კურიერ პეტროლ"-ი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ს. ს. რ. კ. ურთიერთობის აღდგენა, რადგან საფრანგეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის ნავთი.

რუსეთი და რუმინეთი.

ვენა. 28 ივნისი. რუმინეთის მთავრობის ცნობაში ნათქვამია: მთავრობას განზრახვა აქვს, საზღვრებზე მომხდარი ინცინდენტების გამო, წინადადება მიეცეს საბჭოთა მთავრობას მოლაპარაკება დაიწყონ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

იაპონიასთან მოლაპარაკება.

ტოკიო. 28 ივლისი. იაპონიის გაზეთებს დასრულებულად მიაჩნიათ ამხ. იოფფეს მოლაპარაკება კავაკამასთან და აღნიშნავენ, რომ შეთანხმება მიღწეულია მხოლოდ მცირე მნიშვნელოვან საკითხებში. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ შესაძლებელია ოფიციალური კონფერენცია იქნას მოწვეული.

გერმანიის ამბები

საშიში მდგომარეობა

ბერლინი. 28 ივლისი. ადგილობრივ ბირჟაზე დოლლარი ფასობს 760.000 მარკა, საზღვარგარეთის ბირჟაზე—900.000 მარკა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წინადადებით ქალაქის საბჭომ დაადგინა—მიმართოს მთავრობას მოთხოვნილებით საჩქაროთ მიიღოს ზომები საშინელი საფრთხის წინააღმდეგ.

სამთო მრეწველობის მუშათა გაფიცვა.

ბერლინი. 28 ივლისი. ცვიკაუს და ელნიკის მიდამოებში გაიფიცა სამთო მრეწველობის 35.000 მუშა, რომელნიც მოითხოვენ-სიძვირის ზრდასთან შეფარდებით სამუშაო ხელფასის გადიდებას.

კამპანია კუნოს მთავრობის წინააღმდეგ.

ბერლინი. 28 ივლისი. მარკის კურსის კატასტროფიულ დაცემის გამო, კუნოს მთავრობის წინააღმდეგ კომპანია ძლიერდება. **სოციალ-დემოკრატებმა გამოიტანეს რეზოლიუცია—კუნოს მთავრობისთვის, უნდობლობის გამოცხადების და რურში წინააღმდეგობის გაძლიერების შესახებ.**

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კრება მიუნხენში.

ბერლინი. გაზეთი „როტე-ფანე" სწერს: „უდიდესი პოლიტიკური გართულების მომენტში მიუნხენში მოწვეული იყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შეერთებული კრება. დღის წესრიგში იდგა ისეთი „მნიშვნელოვანი" საკითხები, როგორცაა მაგ. საკითხი საავადმყოფო კასის შესახებ და სხვა. **მაგრამ კრებამ დიდის უმრავლესობით მიიღო კომუნისტების მიერ წამოყენებული დღის წესრიგი და გადავიდა პოლიტიკურ საკითხების განხილვაზე.** ამხ. ზუხმანის მოხსენების შემდეგ, კრებამ დაადგინა ბრალდება წაუყენოს კუნოს მთავრობას იმაში, რომ ის თავის კაპიტულიაციას საფრანგეთის კაპიტალიზმის წინაშე კომუნისტების დევნით აინაზღაურებს. ამას გარდა კრებამ პროტესტი გამოსთქვა ბავარიის მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ საგანგებო თავდაცვის მოწყობის შესახებ და დაადგინა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ყრილობის მოწვევა.

„მოიკრიფეთ ყველა ძალები კაპიტალისტურ-ფაშისტურ თავდასხმების წინააღმდეგ საბრძოლველათ",—ასე თავდება რეზოლიუცია,—**„მოსთხოვეთ ყველა კავშირებს ბრძოლის გაერთიანება მრეწველობის ყველა დარგებში".**

ბრემენში.

პარიზი. 30 ივლისი. ბრემენიდან იტყობინებიან, რომ იქ დაატუსაღეს მრავალი მუშა. სურსათ-სანოვაგის ნაკლებობისა გამო მოსალოდნელია დემონსტრაციები. მაღაზიები დაკეტილია.

კელნში.

პარიზი. 30 ივლისი. კელნიდან „ფორვერტს". ატყობინებენ, რომ იქ დაპატიმრებულია საიდუმლო ორგანიზაციათა 20-დი წევრი. ამოაჩინეს 250 კილო დინამიტი.

ებერტისა და კუნოს მოწოდება.

ლონდონი. 30 ივლისი. „დეილი მეილ"-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: პრეზიდენტმა ებერტმა გამოაქვეყნა კუნოს მთელი კაბინეტის მიერ ხელმოწერილი მოწოდება გერმანიის ხალხის მიმართ, რომელშიაც მოყვანილია განზრახული გეგმა საფინანსო რეფორმებისა.

კუნო მუდამ აგვიანებს.

პარიზი. 30 ივლისი. გერმანიის გაზეთებს თუმცა მოსწონთ ებერტის მოწოდების ზოგიერთი მუხლები, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კუნოს მთავრობა ყოველთვის იგვიანებს ხოლმე სასწრაფო ზომების მიღებაში.

შეტაკება ქუჩებში.

პარიზი. 30 ივლისი. ბერლინიდან მიღებულ ცნობებით, იქ ქუჩებში შეტაკება მოხდა კომუნისტების დემონსტრაციისა, რომელიც რამდენიმე ათასი კაცისაგან შესდგებოდა, და პოლიციას შორის.

პოტსდამის მახლობლათ შეტაკება მოხდა პოლიციასა და კომუნისტებ შორის, რომლებიც ცდილობდნენ ციხეში შეჭრას. მოკლულია ორი, დაჭრილია შვიდი.

ლონდონი. 30 ივლისი. მიღებულია ცნობები, **რომ გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში შეტაკება მოხდა კომუნისტების დემონსტრაციებისა და პოლიციას შორის: ახეთი ცნობებია მიღებული ჰამბურგიდან, შტეტინიდან, საქსონიიდან, ტიურინგიიდან.**

ინგლისის თემთა პალატაში

კოლონიები მხოლოდ საწველი ფურია.

ლონდონი 28 ივლისი. თემთა პალატის სხდომაზე, კოლონიალურ უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს, **მუშათა ფრაქცია სასტიკად აკრიტიკებდა მთავრობის გადაწყვეტილებას უარი უთხრას ინდოეთის მცხოვრებთ ევროპიელებთან უფლებებში გათანასწორებაზე.**

მუშათა პარტიის სახელით ვეჯვუდმა აღნიშნა, რომ ასეთი უარი დიდ აღშფოთებას გამოიწვევს ინდოეთში, მაგრამ მაინც ურჩევდა ინდოელებს დაემორჩილონ გადაწყვეტილებას, ვინაიდან მეტის მიღება ამ ჟამად შეუძლებელიაო.

მიჩელ-ბანკსმა განაცხადა, რომ ვეჯვუდის სიტყვა არის მიმართული ბრიტანეთის წინააღმდეგ და **დასცინა ინდოელებს, რომელნიც მოითხოვენ პოლიტიკურ თანასწორობას.** ბანკსის ასეთ განცხადებას მოჰყვა სასტიკი კრიტიკა ვეჯვუდის მხრით.

რეიტერის სააგენტოს განცხადებით, **კენიის მცხოვრებნი ძალიან აღელვებულნი არიან.** მდგომარეობა ძლიერ გართულდა. ამას ხელი შეუწყო სამხრეთ-ამერიკის სმუტსის სიტყვამ, რომელიც ლიბერალურ პრესის აზრით პროვოკაციული ხასიათისაა. „მე ვიცი,—სთქვა სმუტსმა,—რომ თვით ინდოეთში არსებობენ კასტები. მე სრულიად ვერ ვხედავ საფუძვლებს, რატომ მაინც და მაინც სამხრეთ აფრიკის ინდოელები მოითხოვენ თავისუფლებას და თანასწორობას. ევროპიელების მოვალეობას შეადგენს თავისი ადგილი უჩვენონ ინდოელებსო".

კენიის ინდოელების დელეგაციამ ლონდონში გაუგზავნა ინდოეთის მთავრობას დეპეშა, რომელიც აცხადებს, **რომ ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება სავსებით მიღებულია და აკანონებს კენიის ინდოელების უფლებითი მდგომარეობას. „ასეთი არაკეთილსინდისიერ საქციელს,—ნათქვამია დეპეშაში,—არ შეუძლია აღადგინოს თანამშრომლობა ინგლისელებთან და იგი მხოლოდ გაამწვავებს რასიულ კონფლიქტებსო".**

კამათი კრედიტების საკითხის შესახებ.

ლონდონი. 28 ივლისი. თემთა პალატაში ვაჭრობის სამინისტროს კრედიტების საკითხის გარშემო გამართული კამათის დროს ჯანმრთელობის ყოფილმა მინისტრმა ლიბერალმა მონდმა განაცხადა, რომ ინგლისის მონაწილეობა რუსეთთან ვაჭრობაში მეტად უმნიშვნელოა. **ინგლისის მთავრობის მოქმედება აძნელებს რუსეთთან რაიმე ხელშეკრულების დადებას.** ინგლისის კერძო ფირმები ზარალობენ იმის გამო, რომ არ არის ინფორმაცია ბრიტანეთის სავაჭრო დელეგაციისაგან მოსკოვში. მონდის აზრით, მოსკოვის სავაჭრო წარმომადგენლობა უნდა იყოს ვაჭრობის სამინისტროს განკარგულებაში და არა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელში.

მონდის შემდეგ გამოვიდა კენვორტი, რომელიც მოითხოვდა აგრეთვე კრედიტების გადიდებას რუსეთში ექსპორტის საქმის გასაუმჯობესებლად და აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ გერმანიის სავაჭრო წარმომადგენლობა სცდილობს ხელი შეუწყოს იმ გერმანელებს, რომელთაც რუსეთთან ვაჭრობა სურთ, ინგლისის სავაჭრო დელეგაციას კი მოსკოვში არა აქვს საკმაო საშუალებები. კენვორტი ეკითხება, ჰყავს თუ არა ინგლისის მთავრობას წარმომადგენელი ოდესაში და სხვა ნავთსადგურებში. **კენვორტის აზრით, რუსეთის ვალის საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მოლაპარაკების საშუალებით, რისთვისაც მოწვეული უნდა იქნეს კონფერენცია.**

ვაჭრობის მინისტრმა ლლოიდ-გრიმმა აღნიშნა, რომ მთავრობამ გენუაში და ჰააგაში მიმართა რუსეთს „გონიერი" წინადადებებით და მზად არის ეხლაც შეუთანხმდეს მას მაგრამ იმ პირობით, თუ საბჭოთა მთავრობა დათანხმდება აღადგინოს აუცილებელ ნდობის ძირითადი პირობები, ურომლისოდაც კრედიტების გაფართოვება ექსპორტისათვის უსარგებლო იქნება.

კოლონიების მინისტრის სიტყვა.

ლონდონი. 28 ივლისი. თემთა პალატაში კოლონიების საკითხებზე კამათის დროს, კოლონიების მინისტრმა დორმა განაცხადა: ოსმალებმა სამუდამოთ დაჰკარგე' უფლება ირაკსა და პალესტინაზე, ლოზანას შეთანხმების ძალით. საზავო ხელშეკრულების პირველი შედეგი იქნება მესოპოტამიიდან სამი ბატალიონის გამოყვანა.

ოქტომბერში განზრახულ სრულიად საიმპერიო ეკონომიურ კონფერენციის შესახებ შეკითხვის პასუხად, მინისტრმა განაცხადა: კონფერენციის პროგრამაში შემდეგი საკითხები შედის: კოლონიების სიმდიდრეთა განვითარება, ვაჭრობა, ნავოსნობა, ეკონომიური კავშირის ორგანიზაცია და საერთო სავაჭრო კანონმდებლობის შესახებ.

საკონტრიბუციო საკითხი

იტალიის პოლიტიკურ წრეებში.

რომი. 28 ივლისი. „ჩიკაგო ტრიბუნ"-ის კორესპონდენტის გადმოცემით რომიდან იტალიის ოფიციალური წრეები ძალიან გულგატეხილნი არიან იმ შედეგებით, რომელიც მოყვა ინგლისის ცდას რათა საფრანგეთსა და ბელგიის შეეცვალათ სა-

რეპარაციო საკითხში თავისი პოლიტიკა. ამ წრეების აზრით, ინგლისის ცდა დამარცხდა.

პუანკარეს ნოტა.

პარიჟი. 28 ივლისი. გამოირკვა, რომ პუანკარე თავისს ნოტაში უარჰყოფს ინგლისის არგუმენტებს და მთელ რიგ საკითხებს უყენებს ლონდონს რეპარაციასა და საკავშირთაშორისო ვალების შესახებ.

ბალდვინის სიტყვა.

ლონდონი. 27 ივლისი. გლაზგოში, კონსერვატორთა კლუბში, ბალდვინმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ უცხოეთის ბაზრებზე არსებულ კრიზისის გამოსასწორებელ პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს სარეპარაციო საკითხის მოწესრიგება. „ცენტრალურ ევროპის ვალიუტა,— განაცხადა ბალდვინმა,—მეტად უმწეო მდგომარეობაშია და მომავალში ხომ შეუძლებელი იქნება რაიმე მორიგების მიღწევა. თუ არსებულ ქაოსს ბოლო არ მოეღო, მაშინ საერთაშორისო აღებ-მიცემობა სრულებით შეჩერდება. განსაკუთრებით დაზარალდება ისეთი ქვეყნები, როგორც მაგ. ინგლისი, რომელიც დამოკიდებულია საქონლის გაზიდვაზე. სანამ გერმანიაში ფინანსიური სიმტკიცე არ დამყარდება, ვერავინ ვერ მიიღებს რეპარაციებს. რუსეთი ერთად ერთი უდიდესი მსოფლიო ბაზართაგანია. და, დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში რუსეთი იმდენათ გააფართოვებს აღებ-მიცემობას, რომ სრულებით შთანთქავს გერმანიიდან გაზიდულ საქონელს, რომლის განაღდებაც სარეპარაციო ვალებს გაისტუმრებს“.

პუანკარე ერიდება პირდაპირ პასუხს.

ბერლინი. 28 ივლისი. როგორც პარიზის გაზეთები გადმოგვცემენ, პუანკარე ერიდება პირდაპირ პასუხის მიცემას ლონდონის წინადადებაზე. „ტაიმს“-ის აზრით, ინგლისის კაბინეტს დაუდგენია, მომავალ კვირაში ბერლინში გაგზავნოს დამოუკიდებელი სასუხი.

საფრანგეთ-ბელგიის პასუხი.

ლონდონი. 29 ივლისი. იუწყებიან, რომ საფრანგეთ-ბელგიის პასუხი ლონდონს გადაეცემა ორშაბათს. საფრანგეთსა და ბელგიის ნოტები განირჩევა ინგლისის ნოტისაგან საკონტრიბუციო ვალის განაღდების მეთოდებში.

არც საფრანგეთს და არც ბელგიას არ შეუძლიან მოლაპარაკებაზე დასთანხმდნენ, ვიდრე გერმანია არ შესწყვეტს პასიურ წინაალმდეგობას; ევაკუაციის დაწყება არ შეიძლება, ვიდრე გერმანია კონტრიბუციას არ გადაუხდის საფრანგეთსა და ბელგიას.

ოკუპაციის გარშემო

პატიება

რომი. 30 ივლ. პარიზიდან მიღებული ცნობებით, პრეზიდენტმა მილიერანმა სადენის ანილინელის ქარხნის (რურში) სამ გერმანელ დირექტორს სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორგით შეუცვალა. მათ ბრალად ედებათ საბოტაჟი.

პასიური წინაალმდეგობა.

ბერლინი. 28 ივლისი. რურის ოლქში განუწყვეტლივ გრძელდება პასიურ წინაალმდეგობის შესუსტების პროცესი. ბრძოლისგან განსაკუთრებით დაიღალნენ მოსახლეობის საშუალო ფენები.

უარი ფრანგებისათვის ნახშირის დამზადებაზე მოკლებულია აზრს, რაც მტკიცდება კრუპპის ქარხნების მაგალითით, რომელთა ადმინისტრაციამაც ფრანგებს ნახშირის გაზიდვის ნება დართო, ამასთანავე მიღებული იყო ზომები საოკუპაციო ჯარებსა და მუშებს შორის მოსალოდნელ შეტაკებათა შესაწყვეტად. კომუნისტების წინადადება, საპროტესტო გაფიცვის მოწყობის შესახებ, სოციალ-დემოკრატების მიერ იქნა უარყოფილი ადმინისტრაციის დახმარებით. პასიურ წინაალმდეგობას მედგრად აწარმოებს მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ნაწილი, მაგრამ, სურსათის ფასებზე საშინელ სპეკულიაციის გამო, მათი დახმარება სუსტდება.

შემდეგში წინაალმდეგობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის მიერ ფინანსიურ დახმარების გაწევით.

სინაის კონფერენცია

რის შესახებ თათბირობენ ანტანტის ლაქიები.

ვენა. 28 ივლისი. ხორვატიული გაზეთი „ობზორ“-ი გადმოგვცემს: სინაის კონფერენციის უმნიშვნელოვანეს საკითხად ითვლება საკითხი რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. გაზეთის აზრით, რუმინეთის ზეგავლენით აქ განზრახულია თავდაცვის კავშირის მოწყობა რუსეთის წინაალმდეგ საეჭვოა, რომ განხორციელდეს.

სხვადასხვა ამბები

გერმანია

აფეთქება მაღაროში.

ლონდონი. 30 ივლისი. გერმანიიდან მიღებულია ცნობა, რომ როტენბერგის მახლობლად მოხდა მაღაროს აფეთქება. ნანგრევების ქვეშ მოჰყვა 25 კაცი. ჯერ-ჯერობით ერთი მკვდარი მაღაროელი ამოიღეს.

მაღაროში მუშაობა ერთი კვირით შეაჩერეს. ამ მაღაროში აფეთქების დროს 120 კაცამდე მუშაობდა.

ინგლისი.

ეხეც „ერთიანი ფრონტი“.

ბერლინი. 30 ივლისი. შოტლანდიაში მოგზაურობის დროს ბალდვინმა ედინბურგში წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდებდა ყველა პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისაკენ, სოციალისტების წინაალმდეგ, რომელნიც ისწრაფიან ინგლისის ერის ძლევამოსილების განადგურებისაკენ.

უმუშევრობის საფრთხე.

ლონდონი. 30 ივლისი. სახელმწიფო ხაზინის ლორდმა ვილლიამ ხიკმა ერთს კრებაზე განაცხადა: „მთავრობის უპირველეს და ყველაზე უფრო არსებით საზრუნავს შეადგენს უმუშევრობის საკითხი, რომელიც ასეთ დიდ ზიანს აყენებს მშვიდობიანობას. არ შეიძლება. უსაქმოდ დავტოვოთ 1,250,000 ადამიანი. პოლიტიკურ მოღვაწეების მოვალეობაა, თვალყური ადევნონ, რომ ჩვენ ხელიდან არ გამოგვეცალოს გამარჯვების ნაყოფი. და ჩვენ შევიძლოთ აღვადგინოთ ევროპა და ჩვენი ზღვის გაღმა მდებარე სამფლობელოები.

ასეთია ჩვენი, კონსერვატიული პარტიის პროგრამა და ჩვენ ყველანი, პრემიერიდან დაწყებული უკანასკნელ წევრამდე, რომელიც კი პარტიაში შესულა, სრულის თანხმობით უნდა ვმუშაობდეთ ამ პროგრამასთან.

უმუშევრობის საკითხი.

ლონდონი. 28 ივლისი. თემთა პალატის მრეწველთა ჯგუფმა ინგლისის პრემიერს მიჰმართა წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ უმუშევართა რიცხვი ინგლისში ამოწმებს ინგლისის მრეწველობის საშიშ მდგომარეობას და რომ **უმუშევრობა უკარგავს მნიშვნელობას ტრედ-უნიონების გავლენას, რომლებიც მრეწველობის დარგში წარმოადგენენ „მშვიდობიანობის ქვაკუთხედს“.**

„თუმცა ჩვენ არ გვაქვს იმედი, ნათქვამია წერილში,—რომ უცხოეთის ვაჭრობა გადასწყვეტს უმუშევრობის საკითხს, მაგრამ მაინც რუმინიასა და რუსეთში საექსპორტო სესხის გადიდებას, რომელთა სამაგიეროდ შეიძლება მსხვილ კონტრაქტების მიღება ელექტრიულ სადგურების ასაშენებლად და მოსაწყობად, შეუძლია დიდი სარგებლობა გაგვიწიოსო“.

პარტიები არჩევნებზე.

ლონდონი. ლაისში დამატებით არჩევნებზე გავიდა კონსერვატიულ ჯგუფის კანდიდატი—უილსენი, რომელმაც მიიღო 13,000-ზე მეტი ხმა. მუშათა პარტიის კანდიდატმა—შლეიზერმა შეაგროვა 11,000-ზე მეტი ხმა წარსულ არჩევნებზე მიღებულ 7,800 ხმის წინაალმდეგ. ლიბერალურ პარტიის კანდიდატმა მიიღო 3,000 ხმა წარსულ არჩევნებზე მიღებულ 6,000 ხმის წინაალმდეგ.

საფრანგეთი.

ბრიანისა და პუანკარეს შეხმატკბილება.

პარიჟი. როგორც „მატენ“-ი იტყობინება, ყოფილმა პრემიერმა ბრიანმა სენ-ნაზერეში წარმოსთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა, რომელშიაც ამართლებდა თავის მოქმედებას ვაშინგტონის კონფერენციაზე. ბრიანმა განაცხადა, რომ ის სავსებით ეთანხმება პუანკარეს პოლიტიკას და არავითარ ნაბიჯს არ გადასდგამს ისეთს, რაც ხელს შეუშლის ამ პოლიტიკას.

ანტანტის დაშლა.

პარიჟი. პუანკარემ დეპუტატთა პალატაში გაილაშქრა ინგლისის წინაალმდეგ. პრემიერი აბრალებდა ინგლისს ისეთ პოლიტიკის წარმოებას, რომელმაც საფრანგეთი იზოლიაციამდი მიიყვანა. ის აღნიშნავდა, რომ ინგლისის მოქმედებამ უფლება მისცა გერმანიას ეფიქრა, რომ მოკავშირეებს შორის განხეთქილება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი უთანხმოება მაინც არის. გერმანია, მისი სიტყვით, სპეკულიაციას ეწევა ინგლის-საფრანგეთის აზრთა შეუთანხმებლობაზე. „ინგლისი რომ გვერდით იყოს სხვა მოკავშირეებთან, სთქვა პუანკარემ, მაშინ გერმანიის მოხელეები, მრეწველები და მუშები ვერ გაბედავდენ წინაალმდეგობის გაწევასო“.

პოლონეთი.

საგარეო პოლიტიკა

ვარშავა. 28 ივლისი. დეპუტატი დემბროვსკი გამოვიდა საგარეო პოლიტიკის შესახებ შეტანილი შეკითხვის სასწრაფოდ განხილვის დასაბუთებით. მან სასტიკად გაილაშქრა საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაალმდეგ, რომელიც თავისი უმზგავსო პოლიტიკით ზიანს აყენებს სახელმწიფოს.

საგარეო საქმეთა მინისტრი სეიდი საპასუხო სიტყვაში შეეხო ვიტოსის სიტყვას აღმოსავლეთისაკენ გაფართოების შესახებ, უარყო ვიტოსის ტექსტის სიტყვის სისწორით გადმოცემა, რომელიც მოთავსებული იყო ოპოზიციის გაზეთებში. „საქმე შეეხებოდაო—სთქვა სეიდამ—აღმოსავლეთისაკენ პოლიტიკურ წინწაწევას კი არა, არამედ სრულიად დასაბუთებულ ეკონომიურ წინწაწევას აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ“-ო.

უკრაინის დეპუტატის განცხადება.

ვარშავა. 28 ივლ. უკრაინის დეპუტატმა სკრეპკომ სეიმში აღნიშნა, რომ პირველ რიგში ვიტოსის სიტყვა მიმართულია ბელორუსების და უკრაინელების წინაალმდეგ და განაცხადა, რომ თუ „უკრაინული კლუბი დარწმუნდება პარლამენტარულ ბრძოლის უშედეგობაში, მაშინ ის გადავა აქტიურ ბრძოლაზეო“.

სეიმის დათხოვა.

ვარშავა. 28 ივლისი. დადის ხმები საზაფხულო არდადეგების შემდეგ სეიმის დათხოვის შესახებ.

იტალია

იტალიის ნავთი.

რომი. 30 ივლისი. ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში იტალიას ნახ. მილ. დოლლარი დაუხარჯია იტალიაში ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად. რამდენიმე თვალსაჩინო ნავთის წყარო აღმოაჩინეს, რომ ნეაპოლის რკინის გზის გასწვრივ, აპენინის მთების ძირში. მიწათმოქმედების სამინისტროს საინჟინერო განყოფილების უფროსმა, რომლის ხელმძღვანელობითაც სწარმოებს ეს მუშაობა, განაცხადა; რომ ხსენებულ ადგილებში ამ ცოტა ხანში დაიწყება მუშაობა. საბურღი მანქანები უკვე შეკვეთილია. ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, სულ მცირე მანძილზე და უმცირეს სიღრმეზე ამოიღეს რამდენიმე ათასი ლიტრი ნავთი. ამრიგად 10 წლის შემდეგ, იტალიას შეუძლიან საკმაო საკუთარი ნავთი იქონიოს იტალიის მრეწველობისათვის.

მუსსოლინის სიტყვა.

რომი. 28 ივლ. იტალიის პალატის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში მუსსოლინიმ, სხვათა შორის, სთქვა: „ლაბრიოლლის შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ ის სდგას დაძველებულ თვალსაზრისზე, თითქოს არსებობენ ბურჟუაზია და პროლეტარიატი, როგორც ორი ერთი მეორესაგან დაშორებული და მუდმივ ბრძოლაში მყოფი კლასი. არ არსებობს ერთი ბურჟუაზია, არამედ 20-ნაირი სახისაა იგი; არ არსებობს ერთი პროლეტარიატი, არამედ 40-ნაირი სახისაა, მათ არავითარი საერთო არა აქვთ რა“.

სოციალისტებს მუსსოლინმა უთხრა: „მე შემოვიღე კანონი 8 საათის სამუშაო დღისა, მოვიწონე ვაშინგტონის კონფერენციის ყველა დადგენილებები, რომლებიც ეხებიან ზავსა და სოციალურ პოლიტიკას, მე ვიცავ საყოველთაო ხმის მიცემის უფლებას. ჩვენ არ გვსურს პარლამენტის გაუქმება მაშინ, როდესაც არ ვიცით, თუ რით შევსცვალოთ იგი. მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემს მთავრობაში ყოფილიყვნენ შეკავშირებულ მუშების მასების წარმომადგენლები“.

დეპუტატები სცდილობენ მისცენ ამ სიტყვას ისტორიული მნიშვნელობა. მოლოდინის წინაალმდეგ მუსსოლინის სიტყვა ნაკლებ შეურიგებელი და ამაყია, ვიდრე მისი წინანდელი გამოსვლები პარლამენტში. საყოველთაო აზრით, მუსსოლინიმ პარლამენტში დიდი გამარჯვება მიიღო და უფრო განამტკიცა თავისი დიქტატურა.

იტალიის პროფკავშირებში.

პარიჟი. 28 ივლ. რომიდან მიღებულ ცნობებით, იტალიის პროფკავშირების ბელადებმა, მუსსოლინისთან თათბირის შემდეგ, განაცხადეს სურვილი მთავრობასთან თანამშრომლობისა, თუ უკანასკნელი მისცემს პროფორგანიზაციებს ერთგვარ თავისუფლებას.

ფაშისტები.

რომი. 28 ივლისი. უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა ფაშისტების ძალადობა პოპოლიარის პარტიის წინაალმდეგ იმ პოზიციის გამო, რომელიც დაიკავა უკანასკნელმა საარჩევნო რეფორმის პროექტის განხილვის დროს.

ამერიკა.

სენატორ ჯონსონის განცხადება

ნიუ-იორკი. 28 ივლისი. ევროპიდან დაბრუნებულმა სენატორმა ჯონსონმა განაცხადა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ის სასტიკად გაილაშქრებს ამერიკის მიერ ერთა ლიგის საერთაშორისო ტრიბუნალში მონაწილეობის მიღების წინაალმდეგ, რომელსაც არავითარი საშუალება არ აქვს რომელიმე ომის აცდენისა.

ჯონსონმა გაილაშქრა ამერიკის ევროპის ყოველგვარ საქმეებში ჩარევაზე.

შემდეგ ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატების მთავრობის მთავარ ამოცანას შეადგენს ფერმერებისათვის დახმარების აღმოჩენა და სიმდიდრეთა უფრო რაციონალური განაწილება. ჯონსონის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ეს შეუშლის ხელს ამერიკაში რუსეთის რევოლიუციის განმეორებას.

ჯონსონი უარჰყოფს ხმებს თითქოს ის „ბოლშევიკი“ იყოს.

ლატვია.

პატიმართა გადაცვლა.

რიგა. 28 ივლისი. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. არლოვი შეუთანხმდა ლატვიის მთავრობას პატიმართა გადაცვლაზე. გადაცვლის ვადა ამ ახლო ხანში დაინიშნება.

ბულგარეთი.

ამხ. შელეპუგინის მოკვლის გარშემო.

ვენა. 28 ივლისი. სოფიაში „სამშობლოში დაბრუნების“ ჯგუფმა უღრმესი მწუხარება გაუზიარა ბულგარეთში მყოფ რუსეთის წითელ ჯვრის წარმომადგენლობას, ამ. შელეპეგინის მხეცურად მოკვლის გამო და აღნიშნა, რომ თეთრგვარდიელთა საზიზღარი მოღვაწეობა ხელს ვერ შეუშლის სამშობლოში დაბრუნების მსურველთ.

ფაშისტური რაზმები ბულგარეთში.

ვენა. 28 ივლისი. თეთრგვარდიელ იუნკრებისაგან შემდგარმა ფაშისტურმა რაზმებმა გადასწვა რამოდენიმე სოფელი, ააწიოკეს კოოპერატივები და დააპატიმრეს მუშები და გლეხები.

კომუნისტების გასამართლება.

ვენა. 28 ივლისი. პლავნაში დაიწყო 50 კომუნისტის გასამართლება, რომელთაც ბრალდებათ ცანკოვის მთავრობისათვის წინაალმდეგობის გაწევა გადატრიალების დროს. ბრალმდებელმა სიკვდილით დასჯა მოითხოვა 5 უმთავრესი დამნაშავისათვის. პასუხისგებაში მიცემულთა დამცველები დააპატიმრეს.

ამხ. კოლაროვის განთავისუფლება.

მოსკოვი. 29 ივლისი. **მიღებულ, მაგრამ ჯერ შეუმოწმებელ ცნობებით, ამხ. კოლაროვი განთავისუფლებულია, რაც, ცხადია, გამოწვეულია ბულგარულ მასების სულიერ განწყობილებით, რომელთა შორის ამხ. კოლაროვი დიდად პოპულიარულია.**

შვეცია.

სოციალ-დემოკრატების პოზიცია.

სტოკჰოლმი. 28 ივლისი. სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „არბაიტერ“-მა გამოაქვეყნა ცნობილ სოციალ-დემოკრატის ბრანტინგის შვილის გეორგ ბრანტინგის წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატია არ უნდა მიისწრაფოდეს ხელისუფლებისაკენ და პარლამენტში უმრავლესობის შესაქმნელად, რადგან შვეციის ბურჟუაზია, ფინეთის ბურჟუაზიის მზგავსად, ასეთს მისწრაფებას შეიარაღებულ წინაალმდეგობას გაუწევდა და, ამგვარად, სოციალ-დემოკრატია გამოიწვევდა სამოქალაქო ომსო.

ავსტრია

სესხი

ვენა. „არბაიტერ ცეიტუნგი“ იტყობინება, რომ ავსტრიის ფინანსთა მინისტრმა ვენის პარლამენტში მოხსენება გააკეთა ახალი სესხის შესახებ. მისი სიტყვით სესხი სრული გამარჯვებით დამთავრდა ის სავსებით დაფარული იქნა საზღვარგარეთ. პროცენტის სიდიდისა (7 ნახ.) და 7 ევროპიული სახელმწიფოს გარანტიების გამო, სესხმა მისცა ავსტრიას 605 მილ. ოქროს კრონა, რომელთაგან 287 მილ. წავა საგარეო ვალების დასაფარავათ, 318 მილ. კი დარჩება ავსტრიის სრულ განკარგულებაში მისი შინაური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ამ თანხას უნდა მიემატოს კიდევ 28 მილ. ოქროს კრონა, რომელიც მიღებული იყო შვეიცარიისა და ესპანეთისაგან.

ბელგია

კომუნისტების პროცესი.

პარიჟი. 28 ივლისი. **ბელგიელი კომუნისტების პროცესი მათი სრული გამართლებით და განთავისუფლებით დამთავრდა.**

შეერთებული შტატები.

შეთქმულება გარდინგის წინაალმდეგ.

ბერლინი. 30 ივლ. ჩიკაგოდან მიღებული ცნობებით, იქ აღმოუჩენიათ შეთქმულება გარდინგის წინაალმდეგ. ბევრი ანარქისტი დაატუსაღეს.

„განიარაღება“ დაავიწყდათ.

რომი. 30 ივლ. მბეჭდავთა კონგრესზე პრეზიდენტმა გარდინგმა განაცხადა: „შეერთებულ შტატებს უნდა ჰყავდეს ძლევამოსილი ფლოტიო“.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ამხ. კალინინი შორეულ აღმოსავლეთში.

ჩიტა. 28 ივლისი. ჩიტაში ჩამოვიდა ამხ. კალინინი, რომელსაც პარტიული, საბჭოთა პროფესიონალური ორგანიზაციები და აგრეთვე სამხედრო ნაწილები დიდის აღფრთოვანებით შეეგებენ. მრავალრიცხოვან მიტინგზე—ამხ. კალინინმა სთქვა: „ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი წინად გადასახლებულთა და კატორღელების საცხოვრებელი ადგილი იყო, ეხლა კი თავისუფალი მუშათა და გლეხთა რესპუბლიკაა. მეფის რეჟიმის დროს აქ იწვრთნებოდენ მუშების და გლეხების საუკეთესო წარმომადგენლები, რომელნიც ეხლა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს ხელმძღვანელობენო“ ამხ. კალინინმა მოწოდებით მიმართა შორეულ აღმოსავლეთის მუშებს, გლეხებს, წითელ-არმიელებს და მოქალაქეთ მთელი ძალღონით ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების მშვიდ-ოკეანეს ნაპირებზე გამაგრებას და განმტკიცებას. მთელი ქალაქი მორთული იყო პლაკატებით და რევოლიუციონური დროშებით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მუშებმა გაიმარჯვეს.

პარიჟი. 29 ივლისი. ლოძის მუშების ეკონომიურ მოთხოვნილებათა ნაწილი დაკმაყოფილებულია. მუშაობა განახლდა. მუშებმა ბელოსტოკში მიიღეს სამუშაო ხელფასის მომატება. ჟირარდოვოშიც განახლდა მუშაობა.

ქვის მთლელთა გაფიცვა.

რომი. 28 ივლისი. რომში გაიფიცა 20.000 ქვის მთლელი. იტალიის პოლიციამ აკრძალა გაფიცულთა კრებები, კონფისკაცია უყო ყველა მოწოდებებს და დააპატიმრა 300-ზე მეტი მუშა. **შრომის პალატა ჯარისკაცებითაა გარშემორტყმული. ფაშისტები სცემენ გაფიცულებს ამტკიცებენ რა, რომ ვითომ გაფიცვას აქვს პოლიტიკური ხასიათი.**

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ყოფ. მენშევიკების თბილისის საქალაქო კონფერენცია

კონფერენციის მიერ გაგზავნილი მისალმებანი.

საქ. კომპარტიის ცეკას.

ყოფილ მენშევიკების თბილისის საერთო-საქალაქო კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ და თქვენის სახით საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც თავისი ორ წელზე მეტი მუშაობით გვაჩვენა ჩვენ როგორ უნდა მუშათა კლასისათვის ბრძოლა და როგორ უნდა სოციალისტურ სახელმწიფოს შენება.

თქვენი ენერგია, თქვენი ნაყოფიერი მუშაობა ყველა სფეროებში, თქვენი ენტუზიაზმი არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო ჩვენის მხრივ.

გამოურკვეველია, დიდხანს ვიქნებოდით თუ არა ჩვენ ჩამოშორებული პროლეტარულ ბრძოლის სწორ გზას, რომ თქვენ, თქვენი ნაყოფიერი მუშაობით არ გეჩვენებინათ ჩვენთვის ეს გზა.

ეხლა ჩვენ მტკიცეთ ვდგევართ იმ გზაზე, რომელიც არჩეული იყო რუსეთის პროლეტარიატის მიერ ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის დღეებში, რადგან ჩვენ მაგალითით, უამრავ ფაქტებით დავრწმუნდით, რომ ეს გზა არის ერთად ერთი სწორი გზა და ამ გზაზე სიარულით პროლეტარიატს შეუძლია თავის საბოლოო მიზანს მიაღწიოს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას.

პრეზიდიუმი.

მოსკოვი.

კომინტერნს.

ყოფილ მენშევიკების ტფილისის საერთო საქალაქო კონფერენცია ესალმება კომინტერნს, მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს, და, დგება რა კომინტერნის დროშის ქვეშ, ფიცსა სდებს იბრძოლოს ამ დროშის ქვეშ, მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის სასარგებლოდ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

პრეზიდიუმი.

მოსკოვი.

ამხ. ლენინს.

ყოფილ მენშევიკების ტფილისის საერთო საქალაქო კონფერენცია, გასწყვიტა რა მან კავშირი ძველ ტაქტიკასთან, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასის წინაალმდეგ, და დადგა რა მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, გიგზავნით თქვენ, მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის წინამძღოლს, თავის მხურვალე სალამს და გულითადს სურვილს მალე გამომრთელების შესახებ.

კონფერენცია სდებს ფიცს, რომ იგი თავისი სისხლით დაიცავს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და იბრძოლებს პროლეტარიატის ინტერესებისათვის თქვენი გამოცდილი ხელმძღვანელობის ქვეშ.

პრეზიდიუმი.

მოსკოვი.

ამხ. ტროცკის.

ყოფილ მენშევიკების ტფილისის საერთო საქალაქო კონფერენცია გესალმებათ თქვენ და თქვენის სახით სახელოვან წითელ არმიას, რომელიც არის თავის უფლებებისათვის მებრძოლ პროლეტარიატის პირმშო შვილი.

მუშათა კლასის საბოლოო მიზნების განხორციელებისათვის ამ დიად ბრძოლაში, გვიგულეთ თქვენს რიგებში ჩვენც, რომელნიც დროებით ჩამოშორებულნი ვიყავით ამ ბრძოლას, მაგრამ ვიძლევით მტკიცე ფიცს შევავსოთ დაკარგული დრო პროლეტარიატის იდეალების სასახელოდ.

პრეზიდიუმი.

მოსკოვი

ამხ. ჯუღაშვილს.

ყოფილ მენშევიკების თბილისის საერთო—საქალაქო კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, მუშათა საქმისათვის მებრძოლს, და გთხოვთ გადასცეთ რუსეთის პროლეტარიატს, რომ ამიერიდან მათ ჩვენც ჩაგვთვალოს თავის მებრძოლთა რიგებში, როგორც მუშათა საქმისათვის ნამდვილი მებრძოლები. გათავდა გზა-აბნეულება, ბოლო მოეღო შეცდომებს... და ამ შეცდომებისა და მძიმე ტანჯვების საშუალებით ჩვენ უკვე ვიპოვეთ ის ნამდვილი გზა, რომელსაც მიყავს პროლეტარიატი თავის საბოლოო მიზნისაკენ.

კამათი ამხ. მარტინოვის და ფარნიევის მოხსენების გარშემო

ამხ. ტოფაძე.

მარტინოვმა მოხსენებაში აღნიშნა თუ რა შეუძლია ინტელიგენციას, თუ როგორ და საით მოაბრუნებს ის თავის ნავს. ჩვენ მუშები ნავს ისე ვერ ვამოძრავებთ, როგორც ინტელიგენტები. კომუნისტებმა ბევრჯერ გაუკეთეს ანალიზი თავის მოქმედებას და გამოასწორეს თავის შეცდომები. ჩვენ ინტელიგენცია გვიდგა სათავეში, თუმცა რვა მუშამ ამოვიღეთ ხმა ინტელიგენციის წინაალმდეგ, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელად მაინც მხოლოდ ინტელიგენცია დარჩა. აქ კი დღეს არჩილ რუხაძის გარდა ყველა მუშები ვართ და თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც უნდა გამოინახოს ის გზა, რომელიც გამარჯვებისკენ მიგვიყვანს.

ამხ. მიქირტუმოვი.

დამსახურებულ რევოლიუციონერ მარტინოვის მოხსენების შემდეგ სალაპარაკო ცოტა დაგვრჩა, მაგრამ მე მაინც ვიტყვი ორიოდე სიტყვას.

ფარნიევი ამბობდა, რომ მენშევიკები და ბოლშევიკები სულ სხვა და სხვა არიანო. მე ვამტკიცებ აქ, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობდენ რევოლიუციამდე. თუ ეს ასე არ იყო რუსეთში, ასე იყო ჩვენში. მე შევედი ტფილისში პარტიაში 1903 წ. და ამ დროიდან ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატებთან, არ ვიცოდი ბოლშევიკებთან თუ მენშევიკებთან (სიცილი). მე შემთხვევით რეკომენდაცია პარტიაში გამიკეთა მენშევიკმა და ამიტომ მენშევიკათ ვითვლებოდი, თუმცა ვერასოდეს თავს ვერ ვგრძნობდი ჩემს ადგილზე.

კავკასიაში ჩვენ სხვათა შორის დიდი ბრძოლა გვიხდებოდა შოვინიზმის წინაალმდეგ. შოვინიზმი რომლის წინაალმდეგ ყოველმა სოც.-დემოკრატმა, ყოველმა ინტერნაციონალისტმა უნდა იბრძოლოს. სომხების მეთაურ პარტიას, რომელსაც მე ვუწოდებ მოიჯარადრეთა პარტიას ებრძოდენ თათრები, და ვითომ რევოლიუციონურ ბრძოლას აწარმოებდენ. და აი ჩვენ მოგვიხდა ტფილისში სახალხო უნივერსიტეტში მოგვეწვია ყველა ეროვნებათა წარმომადგენლები. ცენტრალურ გამგეობაში ერთი მხრივ იყო ამხ. მიხა ჩოდრიშვილი, მეორე მხრივ ალექსანდრე ლომთათიძე, სერგო ხუნუნცი და ერზინკიანი. ამას მე ვიგონებ იმის დასამტკიცებლათ, რომ მუშაობა შეთანხმებულათ მიდიოდა.

როდესაც ჩვენ ჩამოგვაცილეს რუსეთის პროლეტარიატს ჩვენ გვეუბნეოდენ, რომ ეს საჭიროა საქართველოს მცხოვრებთა ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად. მიზეზი საპატიოა და ჩვენც დავთანხმდით. ჩვენ არ ვიცნობდით საბჭოთა რუსეთის მუშაობის ხასიათს. ცნობები, რომელსაც ვღებულობდით, შემცდარი გამოდგენ.

მას შემდეგ, რაც ჩვენ თვითონ ჩვენი თვალით ვნახეთ კომუნისტების მუშაობა და პროლეტარიატის დიქტატურა, უნდა დასმულიყო საკითხი შეერთების შესახებ. პირადათ მე საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან ჩვენში მენშევიკათ, ისე როგორც ეს ჩვეულებრივ ესმით, მე აღარ ვთვლიდი. მე არასოდეს არ ვიყავი ისეთი მენშევიკი, რომ მშინებოდა პროლეტარიატის დიქტატურისა. რადგანაც მუშათა კლასის დიქტატურა არსებობს, რომელიც არის ჩვენი ძალა-უფლება და მას ჩვენ აუცილებლად უნდა შეუერთდეთ. თუ ჩვენ ეს დღემდე არ გვიქნია, აწი მაინც, დღეს მაინც უნდა შეუერთდეს მას. ჩვენ აქ უნდა პირველად ყოვლისა შევქნათ მთლიანი ფრონტი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, რომ შესაძლებელი გახდეს მუშათა საერთაშორისო მთლიანი ფრონტის შექმნა, რომლისკენაც მე თქვენ მოგიწოდებთ (ტაში).

ამხ. ხარატიშვილის სიტყვა

მე, ამხანაგებო, ისეთ რამეს რას ვიტყვი, რომ თქვენ არ იცოდეთ, ან გაგაკვიროთ. მე მხოლოდ მინდა ჩემი აზრიც ვსთქვა სწორია თუ არა ჩვენი მუშაობა და რანაირი იქნება ახალი გზა.

1917 წლის გადატრიალებამდე ჩვენ ერთად მოვდიოდით, თუმცა განსხვავება [illegible] ერთი გზით ვაწარმოებდით მუშათა კლასის საქმეს—ბრძოლას. 1917 წელში გავიყავით. მე ჩავეწერე იმ ოხერ „სკოლაში“, რომელშიაც თურმე „პორტფელისტები“ ყოფილან. მეუბნებოდენ, ყოვლად შეუძლებელია კომუნისტური პარტიის პროგრამის საქართველოს ცხოვრებაში გატარებაო, აქ მხოლოდ დემოკრატიული წესწყობილება გავაო. მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ აქ გადის პროლეტარიატის დიქტატურა.

ჩავეწერეთ გვარდიაში, ავიღეთ იარაღი ხელში და გვეგონა, რომ ვიბრძოდით წითელი დროშის და მუშათა ინტერესების დასაცავად, თურმე სასახლეში მოკალათებულმა „პორტფელისტებმა“ მოგვატყუეს; გვამსახურეს მღვდლების, თავადების და მდიდრების ინტერესებს. ამ ხალხთან „პორტფელისტებმა“ შექმნეს ერთიანი ფრონტი, ჩვენ კი გვეუბნებოდენ უნდა ვიბრძოლოთ ბანდიტების წინაალმდეგო, თურმე ჩვენ ვილაშქრებდით მათ წინაალმდეგ, ვინც გვანთავისუფლებდა ბურჟუაზიის კლანჭებიდან. ეს იმათი ბრალია, ვინც ევროპაში გაიქცა.

ორნახევარი წელია, რაც გავეცანით კომუნისტების მუშაობას, მანამდი კი არც ერთს არ გაუბედია პარტიიდან გამოსვლაზე ხელი მოეწერა. ბოლოს და ბოლოს ჩვენც რაღაც ეჭვი დაგვებადა ჩვენს მოქმედებაში. თუ მე გვარდიელი ვარ, რა მაქვს საწინაალმდეგო საქმე კომუნისტებთან. ჩვენც და ისინიც ხომ ორივე სოციალისტები ვართ. მაშასადამე, თუ მე ვიბრძოდი კომუნისტების წინამლმდეგ, მე ბრმა იარაღი ვყოფილვარ (თამჯდომარე: ამხანაგო თქვენი დრო გათავდა...) მე ვისურვებდი რომ შეიქნეს ისეთი პარტია, რომელიც მთელ დედამიწაზე მოახდენს სოციალისტურ რევოლიუციას. გაუმარჯოს იმ პარტიას, რომელიც არის მუშათა ინტერესების დამცველი, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

ამხ. ციტაიშვილი.

ამხ. ციტაიშვილი ამბობს, რომ თუმცა მენშევიკური პარტია მან კარგა ხანია დასტოვა, მაგრამ კომუნისტურ პარტიაში არ შევა და რჩება უპარტიოთ. დუშეთის და ოსეთის დარბევამ მენშევიკების მიერ დაგვაშორა მენშევიკთა პარტია, მაგრამ კომუნისტური პაარტიის ზოგიერთი ნაკლულევანებათა გამო ვერც ამ პარტიაში ჩავეწერები, თუმცა მხარს უჭერთ ამ პარტიას და ვსცნობთ მუშათა კლასის მთლიან ფრონტს.

ამხ. თევზაძე.

მართალია ჩვენ მოგვატყუეს სოციალ - დემოკრატებმა, რომელნიც გვეუბნებოდენ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკით გადავალთ სოციალიზმშიო და ეს კი არ გამოდგა მართალი. მე ვუცდიდი, რომ აი, გამოვა რომელიმე ჩვენი მასწავლებელთაგანი და იტყვის თუ საქმე რაშია, მაგრამ როგორც ქათამი წიწილებს მიატოვებს, ისე მიგვატოვეს მათ ჩვენ და გაიქცნენ ევროპაში. ამხანაგი კომუნისტები კი სულ სხვა ხალხია, ისინი ყველაფერს კარგათ აკეთებენ. დილით გადასწყვეტენ, საღამოზე კი მზათ არის, მორჩა და გათავდა (ტაში).

ჩვენ შიში არაფრის არ უნდა გვქონდეს, ყველაფერი მართალი უნდა ვთქვათ. გაუმარჯოს მუშათა კლასს, გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს. მათ კი ვინც მუშათა ინტერესების წინაალმდეგია,

მეცნიერება და ტეხნიკა

გემი—გიგანტი

ამ დღეებში ამერიკაში ზღვაში ჩაუშვეს მთელ მსოფლიოში უდიდესი გემი „ლევიაფანი“, რომელიც ახლოხან გამოუშვეს რემონტიდან. „ლევიაფანი“ არის გერმანიის ყოფილი გემი, 1914 წელში აშენებული, რომელიც ომის შემდეგ ერგოთ ამერიკელებს, ეს გემი იმდენად დიდია, რომ ესპანეთის ცნობილ არმადის ყველა მუშები ერთად-აღებული უფრო მცირეა—ვიდრე ეს უზარმაზარი გემი „ლევიაფანი“.

ამ გემის შეკეთება დაუჯდათ ამერიკელებს 6.110.000 დოლარი, ე. ი. იმდენი, რამდენიც დასჭირდებოდა სრულიად ახალ საოკეანო გემის აშენებას.

ინგლისის ცნობილი გემები „აკვიტანია“, „ოლიმპიკ“-ი და „ბერენგარია“, რომელთა სიდიდით გაკვირვებულნი რჩებოდენ ყველა ისინი, ვინც ოდესმე ახერხებდა მათ ნახვას, „ლევიაფან“-თან შედარებით მეტათ პატარათ სჩანან, „აკვიტანიაზე“ კი მარტო ცეცხლის გამჩაღებელთა რიცხვი 120 კაცს უდრის. „ლევიაფანი“ მართლაც, რომ საოცარი—გემია რომელმაც თავი მოუყარა მთელს თანამედროვე კომფორტს, წვრიმალებამდისაც კი. მარტო ერთი ბიბლიოთეკა, რომელიც მოწყობილია გემზე, დაჯდა ნახევარი მილიონი დოლლარი.

უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ მასზე მგზავრობა სიძვირის გამო ყველას არ შეუძლია. მშვენიერი დარბაზები და თეატრი, რომელნიც მოწყობილია ზღვის ამ გიგანტზე, გაკვირვებას იწვევენ თავის მშვენიერებით და სილამაზით. მაგრამ ყველაზე უკეთესი—ეს ბაღებია, რომლებიც გემზეა მოწყობილი. თვითეულ მგზავრს, რომელიც ასეულ მილითაა დაშორებული ნაპირს, შეუძლია მგზავრობის დროს დაისვენოს ბაღში. პირველი კლასის კაიუტები ისეა მოწყობილი, რომ იქ მჯდომ ადამიანს სრულიად ავიწყდება, რომ მის ქვევით ზღვის სიღრმეა. მას ჰგონია, რომ ის დიდი ქალაქის პირველხარისხოვან სასტუმროში სცხოვრობს. აი ეს-ეს არის დაიგუგუნებს ქუჩაზე ავტომობილი ანდა დარეკავს ტრამვაის ვაგონის წამყვანი, ფანჯარაში კი შემოვარდება ვაჭრის ყვირილი, რომელიც თავის საქონელს აქებს. კაიუტები შეერთებულნი არიან ერთმანეთთან ტელეფონით. მგზავრისთვის საჭირო არ არის კიბეებზე ამოსვლა ქვედა იარუსის კაიუტებიდან გემის აივანზე ამოსასვლელად. ამისათვის მოწყობილია ლიფტები. დავიწყებულნი არ არიან აგრეთვე სპორტსმენები. მათთვის არის აუზები საბანაოთ, ტენისის სათამაშო ადგილები, ბილიარდი და სხვა. ყველა ამის გარდა თვითეულ მგზავრს ყოველ წუთში შეუძლია ისარგებლოს საპარიკმახეროთი, სურათი გადაიღოს ფოტოგრაფიაში, და თუ სურს რადიო-დეპეშა გაგზავნოს ქვეყნის ყველა კუთხეში, რომელსაც მიიღებს მისგან გემის რადიო სადგური და გაგზავნის დანიშნულებისამებრ. მთელს ქვეყნიერებას თითქოს მოწყვეტილი მგზავრი, მიუხედავათ ამისა ყოველდღე იღებს გაზეთს, რომელიც გემზე გამოდის და კითხულობს მასში უკანასკნელ ახალ ამბებს, რომელნიც ქვეყნის ყველა კუთხეებიდან არიან მიღებული რადიოთი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სესია.

ერევანი. 29 ივლისი. სომხეთის აღმასრულებელ კომიტეტის მე-3-ე მორიგი სესია აგვისტოს მეორე ნახევარში შეიკრიბება.

ეროვნული საკითხი.

ერევანი. 29 ივლისი. ამხ. კარინიანის თავმჯდომარეობით და ამხ. სრაპიონიანის, ლუკაშინის, იოანნესიანის, მრავიანისა და შავერდიანის მონაწილეობით მოეწყო საგანგებო კომისია, ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიის მიერ ეროვნული საკითხის შესახებ გამოტანილი დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

სახალხო კომისარიატების აღდგენა.

ერევანი. 29 ივლისი. თანახმად ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიის დადგენილებისა—სომხეთის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

გააუქმოს ამიერ-კავკასიის სასურსათო, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების არსებულ რწმუნებულთა სამმართველოები და აღადგინოს საბჭოთა სომხეთში სათანადო სახალხო კომისარიატები.

აზერბეიჯანი

ბრძოლა რელიგიის წინაალმდეგ.

ბაქო. 29 ივლისი. ბაირამის დღესასწაულის მოახლოვების გამო, აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკამ მობილიზაცია უყო მთელ რიგ პასუხისმგებელ კომუნისტ მუშაკებს ანტირელიგიურ კამპანიის ჩასატარებლად.

პარტიული ცხოვრება

მოუწოდებთ სხვებსაც.

კოლოფების 1-ლ სახელმწიფო ქარხნის კომუჯრედის № 14 და ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის გაერთიანებულ სხდომაზე უპარტიო ამხანაგებთან ერთად გაკეთებულ იქნა მოხსენება „საჰაერო ფლოტის“ შესახებ. აღნიშნული იყო საჰაერო ფლოტის ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მან ამ ჟამათ მიიღო. მოხსენების შესახებ მიცემული იყო რამდენიმე შეკითხვა, რომელზედაც გაცემული იყო ამომწურავი პასუხი.

უჯრედმა დაადგინა ყველა პარტიული ამხანაგები და აგრეთვე ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები ჩაეწერონ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში, რათა ჩვენ, პროლეტარიატის მოწინავე ნაწილმა, მონაწილეობა მივიღოთ იმ თვითმფრინავების აშენებაში, რომელნიც ჩვენივე დამცველნი იქნებიან შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინაალმდეგ.

გვახსოვს რა ჩვენ ამხ. **ტროცკის** სიტყვები „გაიმარჯვებს ის, ვინც ძლიერია ჰაერში“, ჩვენ მოუწოდებთ ს. ს. რ. კ. ყველა მოქალაქეებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ საჰაერო ფლოტის აშენებაში საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში ჩაწერის გზით.

ებში გავა-

სიტყვა.

ც გამოირკვა
ბელად მარ-
და სხვა ორა-
შევიკები და მენ-
ერთ შტოზე მი-
ეს ორი ძმა გაითი-
რაც დამყარდა საბ-
ლება საქართველოში,
პოლიტიკა იყო დასაგ-
ისტების წინააღმდეგ მუ-
მიმართული მუშათა
წინააღმდეგოთ.

ევროპაში იმარჯვებს ფაშიზმი, მაშასადამე რა დაგვრჩენია. ნუ თუ იმ მოპირდაპირე ძალას უნდა შეუერთდეთ, რომელიც არის მიმართული ჩვენ წინააღმდეგ და არა იმ ძალას, რომელიც მიმართულია ფაშიზმის და ინტერვენციის წინააღმდეგ. ნუ თუ ჩვენ ამ ძალას სამარე არ უნდა გაუთხაროთ? ნუთუ მას უკან უნდა მივსდევდეთ. იმისთვის არის მოწვეული ს კონფერენცია, რომ დაგმოს ეს პოლიტიკა სამუდამოთ; ჩვენ უნდა გამოვნახოთ ისეთი შეერთებული გზა, რომელიც მიგვიყვანს სოციალიზმისაკენ.

ამხ. გუმბრიევის სიტყვა.

გუმბრიევი. ამხანაგებო, რასაკვირველია ორი მოხსენების ირგვლივ უნდა გველაპარაკნა. აქ ამხანაგები ამბობდნენ, რომ მარტინოვმა გუშინ სთქვა.—მე ვიყავ მოტყუებული და თქვენც გატყუებდითო. ეს ასე არ არის. მე გავიგე ისე, რომ როდესაც ჩვენ მივდიოდით მარტინოვის გზით, მაშინ ეს გზა იყო წმინდათა წმინდა, მაგრამ დღეს ეს გზა ცხოვრებაში გასატარებელი არ იყო.

დღეს გატარდა კომუნისტური გზა, ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგევართ, რადგანაც რუსეთში კომუნიზმმა გაიმარჯვა და დამყარდა ჩვენშიაც საბჭოთა ხელისუფლება. აქ ფარნიევს შეეკითხეს, არ გახსოვს აქ სცენიდან რომ სთქვი, რომ მოსჩანს აქ მხოლოდ მე-11 არმიაო, მაშინ ასე ვიძახოდით კომუნისტური პარტიაში არ შევდიოდით, მაგრამ არც მის წინააღმდეგ ვიბრძოდით. ჩვენ მაშინ ამ გზაზე ვიდექით. მაგრამ შევასრულეთ ეს დაპირება.

არა ჩვენ „საბოტაჟნიკები“ შევიქენით. მუშაობას აღარ ვეწეოდით. აქ თქვეს ჩეკა, ციხეო, მაგრამ ჩვენ ისინი არ გვაშინებს. ჩვენ ესენი გვინახავს. თუ დღეს ჩეკა არის ჩვენ გვქონდა „ოსობი ოტდელი“, „ჟანდარმსკოე უპრავლენიე“ და მაინც ვაწარმოებდით იატაკქვეშ მუშაობას.

აქ ზოგიერთები გამოდიან და ლაპარაკობენ, ჩვენ პარტიის წინააღმდეგ უწინაც გამოვდიოდითო. ტყუილია, ძალათ მომაწერიეს ხელი პარტიაზეო. უკაცრავათ, ესეც ტყუილია. ჩვენ იმდენათ ყურმოჭრილები მონა-მორჩილი არ ვიყავით, რომ არ გვცოდნოდა რას ვშვებოდით.

ჩვენ დღეს მოვთხოვოთ ჩვენ ყოფილ ამხანაგებს, რომ დაბრუნდენ ჩვენთან და იმუშაონ ჩვენთან ერთად. ამხანაგმა აქ სთქვა, ტროცკი და ლენინი წინააღმდეგნი იყვნენ ჯარის აქ შემოყვანისო, მხოლოდ ადგილობრივმა ამხანაგებმა ითავეს და ფაქტის წინ დაგვაყენესო. მე ვიტყვი, ქება-დიდება მაგათ ვაჟკაცობას, რომ ეს არ ყოფილიყო მაშინ ეროვნული დროშა ჩვენი სისხლით იქნებოდა შეღებილი (ტაში). და მოხდებოდა ის ომი, რომელიც ისტორიას არ ახსოვს თათარსა და სომხის შორის, სომეხსა და ქართველს შორის და სხ. (ტაში).

1 რაიონულ მუშებს ალბად ახსოვთ რას ლაპარაკობდა კაკი წერეთელი მთავარ სახელოსნოებში, როდესაც რუსეთიდან დაბრუნდა: „ჩვენ ბოლშევიკებთან ერთად წავალთ საერთო მტერის წინააღმდეგო და არ მივცემთ ჩვენს თავს ნებას გავილაშქროთ მათ წინააღმდეგო“. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ქონდა ადგილი.

1921 წლის დამლევს, 1922 წლის დასაწყისში ჩვენ დავიწყეთ არა ლეგალური მუშაობა და ამ რიგათ ხელს უშლიდით საერთო საქმეს, მაშინ როდესაც გამაგრება და დახმარება ესაჭიროებოდა მას- არ ვიცი ამხანაგებო გახსოვთ თუ არა, როდესაც გვარდიის შტაბში შემოიყვანეს ფილიპე მახარაძე თავპირ მოპარსული. მან უთხრა ჯუღელს: „პრისტავივით ნუ მომექცევი, მილიციონერებს ნუ გამატან, შენ თითონ წამიყვანეო“. დაცინვა იყო თუ არა ეს სოციალისტზე? ეხლა გაზეთში გამოაცხადეთ პარტიის დატოვება და შუაში ნუ დავრჩებით, როგორც აქამდე ვიყავით. ეს შუაში დარჩენა 1922 წლიდან განა დასაშვები იყო ეს ჩვენთვის. ამიტომ ვიტყვი, საჭიროთ მიმაჩნია, რომ კონფერენციამ, რომელიც შესდგება ძველ ტფილისელ მუშებისაგან აირჩიოს თუგინდ 50 პროც. დელეგატებიდან, დაგზავნოს სოფლებში, რომ იქ მოტყუებული არ დარჩეს ხალხი და მუშები, რომ დაინახონ მათაც კომუნისტების მუშაობა და არ გაახარონ ბურჟუაზია. ამრიგად შევქნათ ერთიანი ფრონტი, ვინაიდან ჩვენ გვაქვს სოციალისტური წესწყობილება და ვაჩვენოთ ევროპის მუშებს, რანაირი წესწყობილება გვაქვს, რომ მათაც მიბაძონ ჩვენ მაგალითს. მე კიდევ დავამატებ ერთ რამეს, საჭიროდ მიმაჩნია კონფერენციამ სურვილი გამოსთქვას, რომ ის ამხანაგები, რომლებიც გადასახლებული არიან აქედან დაბრუნდენ და ჩვენთან ხელი ხელს ჩაკიდებული იმუშაონ.

ქ. გორის ყოფ. მენშევიკების კრება

26 ივლისს ქალაქ გორში შესდგა ყოფილ მენშევიკების საერთო კრება. კრებას დაესწრო 80-დე ყოფილი მენშევიკი. მთელი დარბაზი საზაფხულო თეატრისა გაჭედილი იყო ხალხით, დაესწრო 300-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, კრება გახსნა ამხ. სტეპკო მურადოვმა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი პირებისაგან: შალვა გაჩეჩილაძე (მდივანი), სტეფანე მურადოვი (თავმჯდომარე), ჩიტა ტურაშვილი, ალექსანდრე ჩუტკარაშვილი და ნესტორ ქერეჭაშვილი. გამომუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1) მოხსენება მენშევიკურ პარტიის მოღვაწეობის შესახებ.

2) არჩევნები დელეგატებისა სამაზრო კონფერენციისათვის.

გორის სამაზრო პარტიული კომიტეტის სახელით კრებას ესალმება ამხ. ე. შალამბერიძე. ის ამბობს, რომ 1906-07 წლების შემდეგ მენშევიკური პარტია ჩაეფლო ოპორტიუნისტულ ჭაობში და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სავსებით გადაბარგდა რევოლიუციის მტრების ბანაკში. მენშევიკების პროლეტარულ ნაწილში ამ ჟამად რუსეთში და საბჭოთა საქართველოში მოხდა გარდატეხა კომუნისტურ პარტიის სასარგებლოდ. მენშევიკები (მუშები და გლეხები), დარწმუნდნენ თავიანთი ბელადების ღალატში. მათ მჭიდრო კავშირი შეჰკრეს ჩოლოყაშვილთან და სხვა ბანდიტებთან. მათ კავშირი აქვთ ანტანტასთან, რომელიც დაუძინებელი მტერია საბჭოთა ფედერაციის. კომუნისტური პარტია დიდის აღფრთოვანებით ეგებება მენშევიკურ პარტიის ქვედა ფენების გამოფხიზლების. გაუმარჯოს იმ ძველ რევოლიუციონერ მენშევიკებს, რომლებმაც შეიგნეს თავის შეცდომა და მშრომელ კლასს დაუბრუნდნენ. გაუმარჯოს მშრომელ კლასის მებაირაღტრეს გაუმარჯოს მშრომელ კლასის მებაირაღტრეს კომუნისტურ პარტიას!

მენშევიკურ პარტიის ცეკას მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ყოფილი მენშევიკი ა. ჭყონია. საბჭოთა მთავრობის მიერ თითქმის ყველა სოციალური რეფორმა განხორციელებულია. მენშევიკებს ნიადაგი აქვთ გამოლეული. გადატრიალების შემდეგ საქართველოში მენშევიკებმა მთავარი საგნათ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადეს.

1917 წლამდი ჩვენი პარტია იყო ინტერნ. ამ დროიდან კი ის ჩაეფლა ნაციონალიზმის ჭაობში. მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებლობა არ იყო ნამდვილი, ფაქტიურად ის იყო დამოკიდებული ანტანტისაგან. სოც.-დემ. მენშევიკურ პარტიის დღევანდელ მოღვაწეობას, მომავალი ისტორია, მონათლავს ღალატის სახელით. ნაციონალური საკითხი, რომელიც ძლიერ გამწვავდა მენშევიკების დროს, მოგვარებულ იქნა კომუნისტების მიერ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. შემდეგ მომხსენებელი ეხება ქართველ მენშევიკების წარსულ მოქმედებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარ გარეთ. ოქტომბრის რევოლიუციას აქვს ღრმა ფესვები ჩვენს სინამდვილეში, ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ ავხადოთ ფარდა ცეკას მოღვაწეობას და დავდგეთ კომუნისტური პარტიის პლატფორმაზე. მოხსენების შემდეგ შემოდის წერილობითი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელი იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს.

შემდეგ მოკლე სიტყვას ამბობს ძველი პარტიის წევრი 1898 წლისა ამხ. ნესტორ ქერეჭაშვილი. აღნიშნავს რა თავის რევოლიუციონურ წარსულს, ის ამბობს: ჩვენ გვეგონა 1917 წ. რევოლიუციაში ბურჟუაზიის დახმარებით გაუძღვებოდით მუშათა კლასს, მაგრამ ჩვენი იმედიარ გამართლდა, ჩვენ მოვტყუვდით, ისტორიამ არ გაამართლა ჩვენი ტაქტიკა. ჩვენის ლიდერების ტაქტიკამ გადაგვისროლა მუშათა კლასის მტრის ბანაკში.

ჩვენ ბრმათ მივყვებოდით ჩვენს ლიდერებს. თავის სიტყვის ბოლოში ამხ. ქერეჭაშვილი მოუწოდებს მენშევიკებს, რომ თავი გაანებონ ჯიუტობას და ბუტიობას, გულწრფელად აღიარონ თავიანთი შეცდომები და კომუნისტურ პარტიასთან ერთად იმუშაონ სოციალიზმის სასარგებლოდ.

შემდეგ სიტყვას ამბობს ყოფილი მენშევიკი შალვა გაჩეჩილაძე, რომელიც ვრცლად ეხება ბოლშევიკების და მენშევიკების წარსულ მოღვაწეობას. ის ამტკიცებს რა კომუნისტების პოლიტიკის სისწორეს, მოუწოდებს ამხანაგებს ზურგი შეაქციონ მენშევიკურ პარტიას, ხელი ხელ ჩაკიდებული იარონ: კომუნისტებთან ერთად რევოლიუციის საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

გორის მაზრის კომ. კავშირის სახელით კრებას ესალმება ამხ. კაჭარავა, რომელიც მოუწოდებს ახალგაზრდა მარქსისტებს გაჰყვენ თავიანთ უფროს ძმებს, რომლებმაც გამოიჩინეს გამბედაობა და დაჰგმეს თავისი ლიდერების ტაქტიკა ახალგაზრდათა მარქსისტები იყვნენ მენშევიკების ბელადების გავლენის ქვეშ, ეხლა მათ უსურვებს გამოფხიზლებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ კრება გამოუშვებს მოწოდებას ახალგაზრდა მარქსისტებისადმი.

შინაარსიანი სიტყვით გამოდის ყოფ. მენშევიკი ო. ფოცხიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ დღევანდელი მოქმედება მენშევიკებისა არის კონტრ-რევოლიუციონური. მას გადატრიალებამდე ისეთი წარმოდგენა ჰქონდა ბოლშევიკებზე, რომ ისინი არიან ანარქისტები და რომ ნგრევის მეტი არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ—ეხება რა მენშევიკების მუშაობას პროფმოძრაობაში, სოციალურ რეფორმის გატარებაში; მათ გამოიჩინეს სრული უილაჯობა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც შესძლებს გამოიყვანოს მსოფლიოს მუშათა კლასი იმ ჩიხიდან, რომელშიაც ის მოექცა მეორე ინტერნაციონალის წყალობით. ყველა ჭეშმარიტი სოციალისტი დღეს უნდა იყოს კომუნისტებთან ერთად კაპიტალის წინააღმდეგ დარაზმული.

ამხანაგ ქერეჭაშვილს წინადადება შემოაქვს ფეხზე დგომით პატივი სცენ აწ განსვენებულ ამხ. კამოს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რევოლიუციონურ მოძრაობას გორის მაზრაში, აგრეთვე მისალოცავი დეპეშა გაეგზავნოს ქ. გორის შვილს ამხ. ჯუღაშვილს სტალინს კრება ფეხზე ადგომით პატივს სცემს ამხ. კამოს ხსოვნას და ანდობს პრეზიდიუმს მისალოც დეპეშის გაგზავნის ამხ. სტალინისათვის.

ამხ. ა. ჭყონიას მოხსენების გამო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება საქართველოს სოც. დემ. დღევანდელი მუშაობის შესახებ და გავეცანით რა ამით შექმნილ არა ნორმალურ მდგომარეობას, ქ. გორის მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა კრება ადგენს; რომ ერთ დროს რევოლიუციონური და ინტერნაციონალური პარტია, როგორიც იყო სოციალ-დემოკრატია ამიერ-კავკასიაში, იმპერიალისტური ომის და რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში აცდა რევოლიუციონურ გზას; მისი დღევანდელი საქმიანობა, რაც უნდა კეთილი გრძნობით იყვეს გამოწვეული. არსებითად რევოლიუციის დამარცხების საქმეს ემსახურება. კერძოთ ეროვნული კითხვა, რომელსაც თავისს დღევანდელ ბრძოლის მთავარ საგნათ აყენებს ქართველი სოც. დემოკრატია, მიზანშეწონილადაა გადაწყვეტილი საბჭოთა რესპუბლიკის მიერ. ეს ბრძოლა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც რევოლიუციონური ბრძოლა, როგორც ამას ადგილი აქვს ირლანდიის, ინდოეთის და რურის სინამდვილეში. თუ ამ უკანასკნელების ეროვნული ბრძოლა აჩქარებს კაპიტალისტურ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობის დამარცხებას, ქართველი სოც.-დემოკრატიის ბრძოლა საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ ხელს უწყობს რევოლიუციის დამარცხებას: გამოვდივართ რა ყოველივე აქედან, ჩვენ ისტორიულ დანაშაულებად მიგვაჩნია ის გზა, რომელზედაც დგას ამ ჟამად ქართული მენშევიზმი და ამიტომ დაშლილად ვაცხადებთ ქ. გორის სოც.-დემოკ. ორგანიზაციას. ყოველივე ბრძოლა მუშურ გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ მოასწავებს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას—ამიტომ ჩვენ ვდგებით პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და მთელს ჩვენს ძალას მოვახმართ მის განმტკიცებას და წარმატებას.

ძირს ჩვენი გამთიშველი ოპორტიუნისტული პარტია!

სამაზრო კონფერენციაზე არჩეულ იქნა ათი დელეგატი: 1) შალვა გაჩეჩილაძე—1916 წლის; 2) ოქრო ფოცხიშვილი—1914 წ. 3) ვანო ქერეჭაშვილი—1917 წ. 4) ნესტორ ქერეჭაშვილი—1898 წ. 5) სტეფანე მურადოვი—1900 წ. 6) ჩიტა ტურაშვილი—1899 წ. 7) ალექსანდრე ჩუტკერაშვილი 1904 წ. 8) ვანო მუზაშვილი 1910 წ. 9) თედო ბოჭორიშვილი—1917 წ. 10) გოლა ნასყიდაშვილი—1905 წ.

კანდიდატად კოლა ხუდადოვი.

კრება დაიხურა „ინტერნაციონალის“ სიმღერით ღამის 10 საათზე.

ე. შალ—ძე.

სამტრედია.

ქალაქის კომუჯრედი ერთი მძლავრი ორგანიზაცია იყო მთელს რაიონში, სადაც მწყობრივი მუშაობა სწარმოებდა. მაგრამ ამ ბოლო დროს ამ უჯრედს სისუსტე ემჩნევა, რომელიც ძლიერ თვალსაჩინოა. მიზეზი მასში უნდა ვეძიოთ, რომ ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები ჩაბმული იყვნენ მენშევიკების სამაზრო ყრილობის მოწვევის მზადებაში—ორი თვის განმავლობაში თითქმის, ყოველ სოფელში უხდებოდა ჩვენს ამხანაგებს სიარული მენშევიკებთან ერთად და მიტინგებზე გამოსვლა, რამაც ძლიერი გავლენა მოახდინა კომუჯრედის და პოლიტ-წრის მუშაობაზე. ეს მუშაობა უკვე ჩატარებულია. ხუთშაბათს 18 ივლისს მორიგ-კრებაზე აღინიშნა ყველა სუსტი მხარეები უჯრედისა და დასახელებული იქნა ის გზები, რომლითაც უნდა გამოჯანსაღდეს პარტიული მუშაობა და სასტიკათ იქნას დაცული დისციპლინა. საჭიროა ყველა ამხანაგებმა მიიღონ ეს სახელმძღვანელოთ...

ხან-კანი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(30 ივლისი).

ჩერვონცები — — —	18,950
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	1875
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	18,350
ჩეკები —	16,300
დოლარი ეფექტ. — —	2,770
ჩეკები —	2,495
იტალიური ლირა —	140
ფრანგული ფრანკი —	210
საბჭოთა ფულის ნიშ.	18,25

მუშკოპის ფასები.

(28 ივლისი).

პური გირ.—60 ათასი. ხორცი ძროხის—375 ათ., ყუბანის ფქვილი გირ.—120 ათ., როსტოვის საპონი—400 ათ., საპონი „ტოლლე“ 450 ათ., ნატეხი შაქარი—900 ათ., ფხვნილი შაქარი—700 ათ., ერბო—720 ათ., კარაქი—1,200,000., ხანის ბრინჯი—280., კართოფილი—35 ათ., თუშური ყველი 460 ათ., წითელი ლობიო—25. პამიდორი—100 ათ. ბადრიჯანი ც.—15-30.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(30 ივლისი)

პური 1 ხარ.—125—140, ფქვილი—140 და მეტი, ნატეხი შაქარი—1 მილ., ფხვნილი შაქარი—750, ერბო—1 მილ. კარაქი—1 მილიონი—1,200,000, ზეთი—500, ძროხის ხორცი—500, ცხვრის ხორცი—550, თუშური ყველი—500—650, საპონი „ტოლლე“—600, მარმარილოს საპონი—550, აგდაშის ბრინჯი—250, კარტოფილი—40, წითელი ლობიო—40—50, მწვანე ლობიო—60—100, კომბოსტო—70, ქარხალი—70, პამიდორი—100, კვერცხი 10 ც.—550.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(30 ივლისს)

საპონი სარეცხი. კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. საამშენებლო ლურსმნები. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ. ს. საფეიქრო—საპნისა და ზეთის პროდუქცია. რუსეთის ფართლეულობა. ტყავის სინდიკატის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროს. სახურავის რკინეულობა. ქაღალდის ცენტრალურ ტრესტის ქაღალდი და კარდონები. რკინეულობა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. კრასნოდარის სალამასი. ცემენტი. ნედლი ტყავები. შვეიცარიული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ინგლისური შაბიამანი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“. ადგილობრივი და ყუბანის ხორბალი. კარტონები. კალა. კანიფოლი.

ბირჟის საქონლ. განყოფ. ბარიგებანი.

(30 ივლისს)

ყუბანის ფქვილი 60 პროც. 2 მან. 60 კ. ჩერვ. ფუთი ტომრით გამყიდველის ფრანკო-საწყობი.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(30 ივლისს)

ხორბლისა და პურის პროდუქტების ბაზარზე აწეულია მსხვილი საბითუმო ფასები უმაღლეს, 1 და 2 ხარ. ფქვილზე. შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. საქონლის ცხიმის ბაზარზე—ფასები აწეულია. შაქრის ბაზარზე განწყობილება გაცხოველებულია. დანარჩენი უცვლელია.

საზოგადოება „ჩემო“-ში.

საზოგადოება „ჩემო“-ს ცნობების მიხედვით ჭიათურის შავი ქვის მაღაროების მუშაობა, და ა. წ. ივნისის ექსპორტი გამოიხატება შემდეგ ციფრებში: აღნიშნული თვის განმავლობაში ამოღებულია 985,095 ფუთი მადანი. ამ რაოდენობიდან კავკასიის სამადნო საზოგადოებაზე მოდის—641,095 ფ., ე. ი. 65 პროც. შემდეგ ამოღების რაოდენობის მხრივ მიდის ჭიათურის მადნის მწარმოებლების აქციონერული საზოგადოება, რომელმაც ამოიღო 185 000 ფუთი. მიღებულია ქარხანაზე გასარეცხათ—1.944.428 ფუთი მადანი, გამოშვებულია გარეცხილი მადანი 1.114.501 ფუთი.

შრომის საშუალო ნაყოფიერება დღეში უდრის 47 ფუთს. აღნიშნული დროის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურიდან გატანილია: გერმანიაში—664.562 ფუთი, ამერიკაში—601.798 ფ., ჰოლლანდიაში—368.280 ფ. და ინგლისში—327.504 ფუთი.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის მმართველობისა და მოწესრიგების საქმე, ე. ი. განყოფილებამ უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის ორგანოს ორგანიზაცია ცენტრში, ადგილებზე და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეშე; ნათლად უნდა დასურათოს ცენტრალურ ორგანოს მუშაობა საერთოდ, და კერძოთ იმ ნაწილის, რომელიც სოფლის მეურნეობას ეხება,—მშვიდობიანობის დროის პირობებთან შედარებით; უნდა წარმოადგინოს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების საქმის ტეხნიკა და ოპერაციების სისტემა.

განყოფილებასთან არსდება ცნობათა ბიურო, ინფორმაციული მორიგობა, წიგნების კიოსკი და სხვა.

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსდება საბაჟო-სატარიფო კომისია, რომელშიაც, ამიერ-კავკასიის საბაჟოთა სამმართველოს უფროსის გარდა, შედიან თითო წარმომადგენლები ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან, ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან, უმაღლეს ეკონომიურ თათბირის სამრეწველო სექციიდან და ცენტროკავშირიდან. კომისიის კომპეტენციაში შედის: არსებულ საბაჟო-სატარიფო განაკვეთების შეცვლა, გადაშინჯვა და ახალის შემუშავება; ადგილობრივ პირობების მიხედვით ამიერ-კავკასიის ვაჭრობისა და იმ საქონლების სიის შეცვლა, რომელნიც აკრძალული არიან შემოტანისა და გადატანისათვის; საქონლისათვის ტარიფის შეფარდების საკითხების განხილვა და იმ საჩივრების გადაწყვეტა, რომელნიც აღმოცენებული არიან საბაჟოების საბჭოების გადაწყვეტილებებზე ტარიფების შეფარდების საკითხებში.

კოოპერაცია

სამტრედია.

სულ ორი თვეა რაც ჩამოყალიბდა სამტრედიის მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოება „განახლება“ რწმუნებულთა ყრილობამ გამგეობაში აირჩია სამ. კიკ—ლი, ბეს. დუნდუა და ერ. სტურუა. გამგეობა იმ წამსვე ენერგიულათ შეუდგა საქმეს.

თავდაპირველათ გადმოიბარა რაიონულ კავშირიდან განყოფილებები. ორი თვით სამტრედიაში და შვიდი თემებში. ფინანსიური მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. საქონელი ძლიერ ცოტა იყო. სხვა და სხვა საშუალებებით და ცეკავშირის სამტრ. განყოფილების დახმარებით გამოკეთდა დუქნების მდგომარეობა დავხურეთ ორი დუქანი, რადგან ისინი ზარალის მეტს არას იძლეოდენ, ჯუგუბანში და ილორში. ამნაირათ სამტრედიის ეპოს აქვს დუქნები გახსნილი შემდეგ ადგილებში: ჩხენისში, კულაშში, ეწერში, იანეთში, გომში, და ეხლა ხან გახსნა კიდევ კორმაღალში (გომის თემში) აგრეთვე „ეპომ“ გახსნა ხალხის თხოვნით ფურნე კულაშში და გომში, თვით ქალაქში ფურნე უკვე არსებობდა. აგრეთვე „ეპომ“ წელს თავისით დაამზადა 2.700 ფუთამდის ნედლი პარკი, რომელიც შარშანდელთან შედარებით 150 პროც.-ტით მეტია.

გამგეობამ თავიდანვე დიდი მუშაობა აწარმოვა საწევრო გადასახადის აკრების შესახებ. სიები უკვე შედგენილია, მაგრამ მაინც გლეხობა ისე დაცემულია ეკონომიურათ, რომ გადასახადის აკრება ჯერ არ დაგვიწყია. გამგეობა ფიქრობს ახლო მომავალში მოიწვიოს რწმუნებულთა კრება, სადაც უნდა გამონახოს რადიკალური საშუალებები საწევრო გადასახადის ასაკრებათ. გამგეობამ მოახდინა ყველა დუქნების ფაქტიური რევიზიები და მიიღო ზომები ანგარიშების სწორი წარმოებისათვის. ჩვენ გადმოგვეცა კარგათ მოწყობილი ხერხის ქარხანა და წისქვილი, რომელიც მუშაობს. ხალხის ენერგიული და შეგნებული დახმარებით კოოპერაცია სამტრედიის რაიონში სავსებით განახორციელებს თავის მიზნებს, შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. კოოპერაციის პირველი დღესასწაული, 7 ივლისი, სამტრედიაში ჩატარდა დიდი ენტუზიაზმით, გლეხებმა და მუშებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ დღესასწაულში.

ს. კიკაჩეიშვილი.

სულის ნაღარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის ფრთებით ჩაკვდომოდა მიდამოს ძილი;
ჟამი ჟამს სცვლიდა კუპრზე შავი და უარესი...
ო, ღამე იყო.. ღამე ბნელი, ძონძით მოსილი,
ირგვლივ სუფევდა კვნესა-გლოვა არე-მარესი...

საზარ შხუილით ნავარდობდა ბასრი მახვილი,
შავი ფიქრებით ირწევოდა სიყრმის აკვანი;
არსით ისმოდა საიმედო ვინმეს ძახილი,
სულს მიხუთავდა მიუვალი სევდის საკანი...

ვით მოთვლის ენა, თუ რამდენი განაწამები
ნაღველით სავსე მისცემია გლოვას და ზარსა;
და ვინ, ვინ იცის თუ რამდენი შხამის წამები—
გადაკვდომია მზის ლოდინში ამ სევდის ქნარსა.

ო, ღამე შავი... ღამე ბნელი... სისხლის ღვარები...
გზა ეკლიანი,—ცრემლთ გუბე.. შურის თარეში...
ხრიოკ დროიდან უნდო ბედით განამწარები—
სულის კივილით მივილტოდი აღთქმის მხარეში...

მაგრამ ავსულებს შევეფეთე უეცრათ გზაში
დამიწყეს დევნა და წამება დაუნდობელი...
ტან დაისრული კვლავ წინ მივალ, ოცნების თქმაში —
მსურს ცეცხლი ენთოს რომ გადავსწვა ირგვლივ ყოველი.

...და, ჰა! აჭექდა ნემეზიდას ელვის ნაღარა,
დაგუბულ სიმებს გადაშორდა შავი არშია;
იფეთქა შვებამ—კვნესა-გლოვა ისმის აღარა,
და ოქტომბერი საარაკო ცეცხლის ქარშია.

ანაკაულდა უდარდელათ მაშვრალთ ჩანგები,
და ძლევის კვერთხით ასხივოსნდა გახალისება...
ო, სულო ჩემო, აქ დავცალოთ სევდის ჰანგები,
რომ ცეცხლის ზვირთებს არ განშორდეს ბრძოლის თვისება.

დიახ, ავმეხდი ნემეზიდას ელვის ნაღარათ,
შემოვაგლიჯე დედა-მიწას შავი არშია!—
გაქრა ბნელეთი, კვნესა-გლოვა ისმის აღარა,
და ოქტომბერი საარაკო ცეცხლის ქარშია!

ანაზარდი.

ბრძოლა ციმბირის ჭირის წინააღმდეგ

ს. ს. საქართველოს რესპუბლიკის სამაზრო და სათემო აღმასკომებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე მოედო შინაურ პირუტყვებს ციმბირის ჭირი. განსაკუთრებით ძვინვარებს ეს ჭირი დასავლეთ საქართველოში, სენაკის, ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრაში.

მცხოვრებლები დაგვიანებით ატყობინებენ ექიმ-ვეტერინარებს ჭირის შესახებ სათანადო ზომების მისაღებად და ამით ხელს უწყობენ ჭირის გავრცელებას.

ოზურგეთის სოფლებში სიკვდილზე მიმდგარ საქონელს ხოცავენ და ხორცს ყიდიან მეზობლებზე. ეს არის მიზეზი, რომ ბევრგან არის შემთხვევები ადამიანის დაავადებისა და საკვდილისაც ციმბირის ჭირისაგან, რადგან ეს ჭირი ადამიანზე გადადის.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის ვეტერინარ-სანიტარული განყოფილება იღებს ენერგიულ ზომებს ჭირის მოსასპობლად.

თბილისში, კობის ქუჩაზე მას აქვს მოწყობილი სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ამზადებს ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინებს და შრატს და ამ მასალებით აწარმოებს ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო აცრას. მიმდინარე წელს აიცრა 7000-მდე საქონელი. აცრა ყოველთვის აღწევს მიზანს.

ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო შრატი, რომელსაც ამზადებს ლაბორატორია, ჰკურნავს აგრეთვე ციმბირის ჭირით დაავადმყოფებულ ადამიანს. ამისი მაგალითები ჩვენ უკვე ბევრი გვაქვს.

მივმართავ აღმასკომებს მოწოდებით, იქონიონ მკაცრი ზედამხედველობა საქონლის ჯანმრთელობაზედ, საქონლის დაავადების პირველსავე შემთხვევაშივე დაუყოვნებლივ აცნობონ მახლობელ ექიმ-ვეტერინარს ზომების მისაღებად და მის მოსვლამდე აკრძალონ დაავადებულ საქონლის დაკვლა და ხორცის გასაღება.-

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი
ვ. ხტურუა.

ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების გამგე დ. ახმეტელი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

პროფლიტერატურა.

ა. კ. პროფბიურომ საქართველოს პროფსაბჭოს გადასცა გასავრცელებლად დიდძალი ახლად გამოცემული წიგნები პროფესიონალურ მუშაობის დარგში ქართულ და სომხურ ენაზე. პროფკავშირებმა ორი დღის განმავლობაში გაავრცელა 1900 ცალი წიგნი.

დაავადმყოფებული ბავშვთა გაგზავნა.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება უახლოეს დროისთვის აგარაკ კოჯორში მოახდენს ბავშვთა შემოწმებას. კარგა მყოფი ბავშვები აგარაკიდან დაბრუნდებიან, ხოლო მის მაგივრად გაიგზავნებიან ავადმყოფი ბავშვები.

მეღითონეთა კავშირში.

ბიურო მესამე ყრილობისთვის.

მეღითონეთა კავშირმა სრულიად საქართველოს მეღითონეთა მესამე ყრილობის დღის მოსაწვევად და სამუშაო გეგმის შესადგენად ამოირჩია განსაკუთრებული ბიურო ამხ. მაჩაიძის, პრეობრაჟენსკის და სხირტლაძის შემადგენლობით.

ეკლესია გადაკეთდა სამკითხველოდ.

კვირაცხოვლობის ეკლესია, რომელიც მდებარეობს კვირაცხოვლობის ქუჩაზე გადაკეთდა წიგნთ-საცავ სამკითხველოდ.

ამშენებლობის კავშირში.

პლენუმის მოწვევა.

ამშენებლობის კავშირმა დაადგინა მოიწვიოს გაფართოებული პლენუმის სხდომა.

კლუბი ჩუღურეთის რაიადგილკომისთვის.

კავშირმა განიზრახა ჩუღურეთის რაიადგილკომისთვის მოაწყოს კლუბი.

შრომის განყოფილებათა დათვალიერება

შრომის სახ. კომისარიატის ინსტრუქტორების მიერ დათვალიერებული იქნა ჭიათურის, ქუთაისის, სამტრედიის, სენაკის და ზუგდიდის შრომის ორგანოები. აღნიშნულ ყველა ადგილებში ინსტრუქტორების ინიციატივით მოწვეულ იქნა ადგილობრივი პროფკავშირების, შრომის ორგანოების, დამზღვევ კასების და აღმასკომების წარმომადგენელთა გაფართოვებული სხდომა. სხდომებზე ინსტრუქტორებმა გააკეთეს მოხსენებები დაქირავებულ შრომის მოწესრიგებისა და შრომის კანონთა კოდექსის შესახებ. ამავე სხდომებზე ირჩეოდა და გვარდებოდა ადგილობრივათ აღმოცენებული კონფლიქტები. მაგალითად—სენაკში გარჩეულ იქნა აღმშენებელთა კანტორის და მუშებს შორის მომხდარი კონფლიქტი, და აგრეთვე ზუგდიდში გაირჩა კონფლიქტი დამზღვევ კასასა და ჯანმრთელობის განყოფილებას შორის მომხდარი. დათვალიერებამ გამოარკვია, რომ ზემო აღნიშნულ შრომის ორგანოებში მუშაობა დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს. დამოკიდებულებაც შრომის ორგანოების სხვა ორგანოებთან წესიერია.

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა სამტრედიის საუზნო რკინისგზელთა კავშირის არსებულ საკორესპონდენტო პუნქტის მოღვაწეობა.

პოლიტიკური განათლება და მისი მორიგი ამოცანები

პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობა (გლავპოლიტპროსვეტი“) ჩვენში არსებობს დღიდან საბჭოთა წყობილების დამკვიდრებისა.

საქართველოს პირობებში საბჭოთა წყობილების განსამტკიცებლათ პოლიტგანათლების მუშაობას განსაკუთრებული და უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ეს გასაგები არის მათთვის, ვინც იცნობს იმ პრინციპებს, რომლებზედაც აგებულია პოლიტგანათლების ორგანიზაცია.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრისთვის დღესაც გაუგებარი რჩება პოლიტგანათლების არსებობის საჭიროება, როგორც ცალკე მმართველობის.

ისინი ამბობენ, რა საჭირო არის პოლიტგანათლების ცალკე არსებობა, როდესაც კომუნისტური პარტია და სახალხო განათლების კომისარიატი ემსახურებიან იმავე საქმეს, რასაც პოლიტ-განათლების ორგანიზაციაო.

ასეთი შეხედულება პოლიტგანათლებაზე ზერელე შეხედულებაა და ვერ უძლებს სად კრიტიკას.

პოლიტგანათლების ფუნქციების ასრულებას სავსებით და დამოუკიდებლათ ვერ აიღებს თავის თავზე ვერც სახალხო განათლების კომისარიატი და ვერც პარტია.

სწორედ თავიდანვე ამ გარემოებას რუსეთში ალღო ექნა აღებული და გამოსავალი გზაც გამონახული.

ეს გზა იყო—ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მჭიდრო კავშირში იქნებოდა, როგორც პარტიასთან, ისე სახალხო განათლების კომისარიატთან. ასეთი ორგანიზაცია იყო და არის პოლიტგანათლების მთავარ მმართველობა.

კომუნისტური იდეების აგიტაცია და პროპაგანდა, კომუნისტური წყობილებისათვის ფართო მასაში ნიადაგის მომზადება, აგიტაციით და პროპაგანდით ძველი წყობილებიდან სამემკვიდროთ გადმოცემული ზნეჩვეულებათა მოსპობა, ერთი სიტყვით, ახალი, კომუნისტურ საფუძველზე აგებულ სულიერ კულტურის შექმნა, აი რისთვის არის მოწოდებული პოლიტ-განათლების ორგანიზაცია.

ამნაირათ, პოლიტგანათლება თავისი დანიშნულების განსაკუთრებითი ხასიათის გამო, ორგანიზაციულათ აღმოცენებული არის კომუნისტურ პარტიასა და განათლების კომისარიატ შორის. სწორედ ამიტომაც, როგორც წინეთ, ისე ეხლა პოლიტგანათლების მთავარმმართველობა ორგანიზაციულათ ექვემდებარება განათლების კომისარიატს და იდეურათ კი კომუნისტურ პარტიას.

ჩვენ ამას ვიტყვით ისეთ დახავსებულ შეხედულების შესახებ, რომელიც განათლების „აპოლიტიკობას“ ქადაგებს და რომლის წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტ-განათლების კომპენტენციაში შედის. უმჯობესია ამის შესახებ თვით ლენინის შეხედულება მოვიყვანოთ,—რომელიც მან გამოთქვა პოლიტ-განათლების ორგანიზაციათა თათბირზე (3 ნოემბერი 1920 წ.) მან სთქვა: „ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლის ისტორიულ მომენტში, როცა ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ არა მხოლოდ სამხედრო საშუალებებით, არამედ აღზრდა-განვითარების საშუალებითაც, რათა ის ზნე-ჩვეულებანი, ადათები, რწმენა, რომელიც მუშათა კლასმა შეიმუშავა ათეულ წლებით წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლის შემწეობით პოლიტიკური თავისუფლების მისაღწევათ, გამოვიყენოთ ყველა მშრომელთა აღზრდის საშუალებითაც. ჩვენთვის კომუნიზმი არ არის დღეს მშრალი თეორია, ან მიზანი. ის არის საქმე სადღეისო ფაქტიური აღმშენებლობისა. რაც შეეხება განათლების „აპოლიტკობას“, ეს არის მოტყუება, დღეს ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში პოლიტიკურ აპარატს უდიდესი კავშირი აქვს განათლებასთან, რომლის აღიარება ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია, თუმცა იგივე საზოგადოება ხალხს წვრთნის ეკლესიის და კერძო საზოგადოების საშუალებით“. ამნაირათ რასაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში განათლების და პოლიტიკის დაკავშირებისათვის მალულათ აკეთებენ, ჩვენ, საბჭოთა ქვეყნებში პოლიტგანათლების აპარატებით, აშკარათ ვაწარმოებთ.

განსაკუთრებით პოლიტგანათლების მუშაობას იმ ხნიდან მიეცა დაკვრითი ხასიათი, რაც ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით. მოსალოდნელი იყო, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გადალახავდა ეკონომიურ ცხოვრების ზღუდეებს და მიწვდებოდა ჩვენი სულიერ კულტურის სფეროსაც. სწორედ აქ იყო მზადება საჭირო, რომ მოზღვავებულ წვრილ-მეშჩანური ტალღები შეჩერებული ყოფილიყო. ვინ აიღებდა ამ მოვალეობას თავის თავზე? რასაკვირველია, ჩვენი პარტია, რომელიც ბურჟუაზიულ - მეშჩანურ სტიქიას დაუპირდაპირებდა თავის მძლავრ იარაღს—კომუნისტურ აგიტაციას და პროპაგანდას, რომლის პრაქტიკულათ გამტარებელი იყო პოლიტ-განათლება თავის აპარატებით. ამ გარემოებას სამართლიანად მიაქცია ყურადღება და ხაზგასმით აღნიშნა ამხ. **ლუნაჩარსკიმ**, რომელმაც პოლიტგანათლების მუშაკთა მეორე ყრილობაზე სთქვა შემდეგი; „თქვენ იცით რა არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა ბურჟუაზიის შეხედულებით? ის არის, მისი აზრით, ჩვენი გათიშვა ძველი ეკონომიურ პოლიტიკასთან და ჩვენი გადახვევა მეშჩანობისაკენ. და როდესაც ისინი ამბობენ: განათლებაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეტანა, ეს კომუნისტური სკოლის დაჩრდილვა იქნება ჩვენი სულითო, ჩვენ ვუპასუხებთ, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ შეიძლება ჩვენ დროებით უკან დაგვახევინოს ეკონომიკაში, მაგრამ განათლების სფეროში ჩვენ უკან არ დავიხევთ არც ერთი ნაბიჯით. კულტურის დარგში არავითარი შესუსტება კომუნისტური ხაზისა, რომელსაც ჩვენ დღემდის ვატარებდითო“.

ამხ. ლუნაჩარსკიმ ამის შემდეგ მოუწოდა პოლიტგანათლების მუშაობას ამ მიმართულებით ენერგიულ მუშაობისაკენ. პოლიტგანათლება ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს მეშჩანურ სტიქიასთან. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მოვალეობანი აწევს პოლიტგანათლების ორგანიზაციას..

ამის კონკრეტულ მუშაობის შესახებ შემდეგ.

ხანდრო ქურიძე.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **წყალსადენის მილები.** ქ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ წინადადება მისცა წყალსადენის დირექტორს მდავლინოს წარმომადგენელი რუსეთში („იუგოსტალის“ ფირმასთან) წყალსადენის მილების შესაძენათ.

— **ახალი წევრი.** კომუნალურ განყოფილების კოლეგიის წევრათ დაინიშნა ამხ. იტრიევი.

— **წესდების შემუშავება.** აღმასკომმა ქალაქის ელექტრო-სადგურის სამმართველოს წინადადება მისცა ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს სახლის პატრონებისათვის სავალდებულო წესდება ძირა სართულებში ელექტრონით სარგებლობის შესახებ.

— **მილიციელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.** აღმასკომის სამმართველოსს წინადადება მიეცა შეიმუშაოს პროექტი მილიციელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

— **ქალაქის აბანოების ახალი ნიხრი.** აღმასკომის დადგენილებით 1 აგვისტოდან ქალაქის აბანოებში დაწესებულია ახალი ნიხრი, ნომრები ეღირება არა უმეტეს—1,200,000 მანეთისა, საერთო 300,000 მან.

— **ინსტრუქცია.** დამტკიცებულ იქნა ინსტრუქცია განათლების განყოფილების ინსტრუქტორებისათვის სახელმძღვანელოთ.

— **ქუჩების მოკირწყვლა.** აღმასკომის კომაღმშენებლობის განყოფილება უკვე შეუდგა განაპირა ქუჩების მოკირწყვლას.

განათლების კომისარიატში

— **ინგლისის წარმომადგენლის ჩამოსვლა ტფილისში.** ტფილისში ჩამოვიდა ინგლისში არსებულ რუსეთის მეგობართა საზოგადოების წევრი მისტერი ჯენსონ, რომლის მიზანია გაეცნოს საქართველოს რესპუბლიკაში განათლების საქმეს.

— **დანიშვნა.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის გამგის ამხ. მარიამ ორახელაშვილის აგვისტოდან შვებულებაში წასვლის გამო, მის ადგილზე დროებით დაინიშნა ამხ. ელ. წულუკიძე.

— **სახელმწ. გამომცემლობის განყოფილება.** სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისის განყოფილების გამგეთ დაინიშნა სპირიდონ ენუქიძე.

— **საქართველოს პროფკავშირების სტიპენდიანტები რუსეთის მუშათა ფაკულტეტებზე.** რუსეთის მუშათა ფაკულტეტებზე საქართველოს პროფკავშირებს დაეთმოთ 8 სტიპენდია.

სოც. უზრ. კომისარიატში.

— **ხელოვნების და მეცნიერების მუშაკთა უზრუნველყოფა.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი ამუშავებს პროექტს ხელოვნების და მეცნიერების, რევოლიუციის და პროფმოძრაობის მუშაკთა უზრუნველყოფის შესახებ.

გამომცემლობა.

— **„ნიანგი“.** გამოვიდა იუმორისტულ ჟურნალის „ნიანგის“ მე-5 ნომერი.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 29 ივლისს, ღამით, რუსთაველის პროსპექტზე გაქურდეს ფართლეულობის სავაჭრო მაღაზია № 172.

სხვა და სხვა.

— **მდინარის ადიდება.** 26 ივლისს დიდი წვიმების გამო ადიდდა მდინარე ხობის-წყალი, რომელმაც წაიღო რკინის გზის ხიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

თბილისის საქონლის საწყობების მდგომარეობა

თბილისის საქონლის სადგურის საწყობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აქ ინახება დიდძალი მოსული და გადასაგზავნი საქონელი. რუსეთისა და ამიერ-კავკასიის ყველა დაბა ქალაქებში. ამ საწყობებში ინახება როგორც თბილისში მოსული აგრეთვე თბილისიდან გასაგზავნი საქონელი, ვიდრე ამათ ან პატრონი მიიღებდეს და ან გასაგზავნ ვაგონში დაიტვირთებოდეს. აი ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საწყობებს, მაგრამ ამავე აღნიშნულ საწყობების სახურავი კი ისეა დაზიანებული, რომ ზოგიერთ საწყობში როგორც № 5 და 3 და აგრეთვე საწყობების წინ ბაქანზე მცირე წვიმის დროსაც კი წყალი ჩამოდის საქონელი სველდება და ბაქანზედაც გუბეები დგება. ამ გუბეებში უხდებათ მუშაობა აქაურ მუშებს რაც მათ ჯანმრთელობაზე გამანადგურებლად მოქმედობს... სადგურის გამგე კანდელაკმა რამდენჯერ მიმართა რკინის გზის სამმართველოს, რომ მას საწყობების სახურავები შეეკეთებინა, მაგრამ ჯერ კიდევ შეკეთებული არ არის ვიდრე შემოდგომის გამუდმებული წვიმები არ დაწყებულა და ამ ნაკლს შესამჩნევი ზარალი არ მოუყოლია, დროა ეხლავე 14 საწყობი შეკეთდეს თორემ მერე გვიანღა იქნება:

ამავე სადგურის მუშა

გ. ჩარხიშვილი.

მუშათა კლუბის ბაღში

ჩვენი მუშათა კლუბის ბაღში სუფევს საუცხოვო სისუფთავე, წესიერება დაცულია, აქ მომუშავეთა შორის იშვიათი დისციპლინაა განმტკიცებული, ყველა თავის ალაგზეა, ყველაფერს ეტყობა ამხ. ჭელიძის (გამგეა) გამოცდილი ხელი. შედარებით შარშანდელთან ბაღი გალამაზებულია და გამშვენიერებული, რაზედაც დახარჯულია სამ მილიარდამდე, ეს ციფრი კი კლუბისათვის ძალიან საგრძნობია, სიმფონიური კონცერტებიც იწვევს დიდს ხარჯებს, რაც ვალათ ედება კლუბს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კლუბის წევრებს დროზედ არ შეაქვთ გადასახადი, ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება; ყოველ პროფკავშირის წევრი, რომელიც შედის მუშათა კლუბში წევრათ, უნდა თავის თავს ვალდებულათ რაცხდეს, რომ თვისი წვლილი შეიტანოს კლუბში დროზედ. დღევანდლამდე კლუბის შემოსავალი ბაღიდან უდრის რვაას მილიონ მანეთს, რომელიც დახარჯულია ბაღზედვე, მის მოშენებაზე და მუშების გასტუმრებაზე. ამ მიზნით კლუბის გამგეობა ახლო მომავალში მართავს დიდ საღამო-სეირნობას, კლუბის საშუალებათა გასაძლიერებლათ, სეირნობა იმართება ფართე პროგრამით და იმედია, რომ მუშები თავის დასწრებით და მათი ორგანიზაციები, კლუბს აღმოუჩენენ სათანადო დახმარებას.

მუშკორი **მეთვალყურე.**

მუშის ნაამბობი

(მოგონება 1908 წლის რევოლიუციონურ მოძრაობიდან).

ამ წელს გადაასახლეს ჩვენი რევოლიუციის ბელადი მედროშე, არაქელა ოქუაშვილი, ეს დღე შეიქმნა მუშებისათვის ისტორიულ დღედ. ამ დღემ შეიწირა ზვარაკად ერთი საუკეთესო რევოლიუციონერი ამხანაგი ბაგრატა გალუსტოვი. ამხ. სტურუას გადასახლების წინადღეს მუშათა ორგანიზაციებში ასტყდა ერთი აურზაური. ტფ. ფაბრიკა-ქარხნებში დარიგდა მოწოდების ფურცლები, რათა ამ დღეს ყველა ამხანაგებს მიეღოთ მონაწილეობა მებრძოლ ამხანაგის გაცილებაში—ვაგზალზე გამოსვლით. ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდი იყო. წინადღით მოქანცულ მზეს ტკბილად ჩასძინებოდა. ქალაქში სიჩუმე იყო გამეფებული, მარტო მეეზოვების ცოცხის ფხაკუნი არღვევდა მყუდროებას.

განთიადისას ამოძრავდა მუშა ხალხი. მუშები სწრაფი ნაბიჯით მიეშურებიან დანიშნულ ადგილისაკენ. ურიცხვმა მუშამ მოიყარა თავი რკინის გზის ლიანდაგზე, ჟანდარმები სულ განაბული იცდიან; დარაზმული ხალხი გულის ფანცქალით ელოდა ამხანაგ ოქუაშვილის უკანასკნელად დანახვას. აგერ გამოვიდა კიდეც ზალიდან ერთი მხარ-ბეჭებ განიერი, შავგრემანი კაცი, მისი არწივისებური თვალები შიშის ზარს ჰგვრიდა მტრებს ეს იყო ამხ. ოქუაშვილი. ცოტა ხნის შემდეგ ის უკვე ქუდმოხდილი იდგა ვაგონის კიბეებზე გამოსამშვიდობებლად—უკვე დაიძრა მატარებელი. მუშებში ასტყდა საშინელი ყიჟინი, ვაშას ძახილი. აფრიალდნენ წითელი დროშები. ასტყდა რევოლვერების სროლა. ხალხში ისროდნენ ჟანდარმები ხალხი კი ქუდების ქნევით „ვაშას" ძახილით ემშვიდობებოდა თავის ძვირფასს ამხანაგს. თვით გადასახლებულიც სევდიანის თვალით უყურებდა თავის აღმზრდელ ქალაქს და ცრემლ-მორეულო ეთხოვებოდა ყველას. გაჰქრა მატარებელი და თან წარიტაცა ჩვენი მებრძოლი გმირი. ჩვენ კი დაგვერივნენ ჟანდარმები მათრახებით და თოფების სროლით გაგვრეკ-გაგვფანტეს ვაგზლიდან. ამ პირობებში გვიხდებოდა ბრძოლა. ძველ მუშებს.

ძველი მუშა—**გიორგი შინატეხელი.**

რა ვნახე ბორჯომში დასვენების დროს.

მუშათა ცხოვრება თანდათანობით უმჯობესდება. უკვე სამი წელიწადია, რაც მუშათა კლასი გამოვიდა სახელმწიფო ასპარეზზედ თავისუფალი სიტყვით და შრომით. დიდმა რევოლიუციამ ჩვენ მუშებს მოგვცა 8 საათის სამუშაო დღე. მუშათა კლასმა დიდი ბრძოლის შემდეგ მიაღწია იმ უფლებებს, რომელიც წინედ მხოლოდ გაბატონებულ კლასებისათვის არსებობდა. დღეს უკვე ჩვენ მუშებმა, მოვიპოვეთ ეს უფლებები. უვლით უშიშრად ჩვენს თავისუფალ შრომას, მიწა-წყალს ფაბრიკა-ქარხნებს და სხვა. დღემდე კი ეს უფლებები გაბატონებულ კლასებისათვის არსებობდა. მხოლოდ ისინი სტკბებოდნენ სიამით და ხანგრძლივად ინარჩუნებდნენ სიცოცხლეს.

დროთა განმავლობაში სხვაფრივ დატრიალდა მსოფლიო ჩარხი, დაემხო და განადგურდა სამუდამოდ მუშათა კლასის დაუძლეველი მტერი; მუშებმა და გლეხებმა გაიმარჯვეს.

ამ ჩემ წერილში მინდა გადაუშალო ამხ. მუშებს ის გასაოცარი სურათი, რაც მე ვნახე ჩემს დასვენების დროს ბორჯომში. ათასი წელიწადიც რომ ვიცოცხლო, მაინც არ დამავიწყდება ის სიამოვნება, რაც მე და ჩემმა ამხანაგებმა სხვა და სხვა ქარხნის მუშებმა მივიღეთ აქ დასვენების დროს. არ დამავიწყდება ლამაზ და მომხიბლავ ხეობაში მდებარე ბორჯომი თავისი შესანიშნავი მინერალური წყლებით, მრავალი გორაკებით და შესანიშნავი სახლებით. აქაურ ლამაზად სუფთა ქუჩებზე, სადაც უწინ მხოლოდ ბურჟუაზიას შეეძლო სეირნობა, დღეს პატიოსანი და შეგნებული მუშები დასეირნობენ. დიდი მთავრის ყოფ. თვალ-წარმტაცი სასახლე უზარმაზარი ბაღით და ლამაზ ხეივნებით დღეს წარმოადგენს საუცხოვო სურათს.

სასახლეს ამშვენებს სხვა და სხვა ქანდაკებები, თვით ეზოში უშველებელ სივრცეზედ გამართულია მავთულით დაწნული გალია, რომელიც დაყოფილია რამოდენიმე ნაწილად სხვა-და სხვა შინაური და გარეული ცხოველებისათვის. თუმცა ეს ცხოველები ეხლა აღარ არიან იქა, მაგრამ როდესაც იყვნენ, ალბად ამ „სამეფოში" მუშებზედ უკეთ ცხოვრობდენ. ამის გარდა ეზოში არსებობს ქვიტკირის გვირაბი, რომელიც იყო გაყვანილი მტკვრისკენ. გვირაბში შემოდიოდა მდინარე მტკვრის წყალი. მის წინ იყო ლამაზი თევზების დასაჭერი ბადეები, რათა დიდ მთავრებს ყოველთვის ახალ-ახალი თევზები ქონოდათ და მრავალი სხვ. სასახლე შიგნით დიდს განძეულობას შეიცავს.

მე მინდა ვსთქვა, რომ წინეთ ცხოვრება მდიდრებისათვის იყო გაჩენილი და არა ჩვენთვის.

დღეს კი ეს სასახლე მისი ავლადიდებით გვეკუთვნის ჩვენ, მუშებს. ამ ძვირფას სანახაობით და წმიდა ჯანმრთელობის გამაძლიერებელ ჰაერით დამტკბარ-კმაყოფილნი ჩვენ უკვე დაუბრუნდით ჩვენს ჩვეულებრივ მუშაობას ქარხანაში.

მუშა ქალი **ფ. ირემაშვილი.**

— ტფილისში მოსალოდნელი დიდი სიცხეები. უკანასკნელათ ტფილისში გავრცელდა ხმები, თითქოს აგვისტოში—ტფილისში და საერთოდ კავკასიაში მოსალოდნელი იყოს დიდი სიცხეები. ტფილისის ობსერვატორია ადასტურებს, რომ ეს ხმები ჭორია და სიმართლეს სრულიად მოკლებული.

— დიდი სიცხეები ჰოლანდიაში. მოსკოვის გაზეთი „პრავდა" (21 ივლისის ნომერი) იტყობინება: „ჰაგიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჰოლანდიაში მეტის-მეტ დიდ სიცხეების გამო დაიღუპა 250 კაცი".

— დახმარება. ჭიათურაში ქალთა შორის მომუშავე ინსტრუქტორმა ამხ. მარო ჩიტიშვილმა მიიღო სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტისაგან ღარიბ ქვრივ ქალთა დასახმარებლად 40 არშინი ბამბაზია, 100 მილიონი მანეთი სიმინდის შესაძენად და ასი მილ. მან. ჭიათურაში არსებულ საფეიქრო სახელოსნოს დასახმარებლად.

ხელოვნება

— ქართული ხალხური სიმღერების შეგროვება. განზრახულია ტფილისში შესდგეს მუსიკოსთა წრე, რომელიც შეაგროვებს ქართულ ხალხურ ძველ სიმღერებს და მისი დამუშავების შემდეგ მთავრობის დახმარებით გამოსცემს.

— დახმარება კომპოზიტორ დიმ. არაყიშვილს. მთავარ სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა მიეცეს დახმარების სახით 100 მილიონი ავადმყოფ კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილს.

— პროვინციებში თეატრების აგების შესახებ. მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა, სთხოვოს მთავრობას გამოსცეს განკარგულება, რომ პროვინციებში თეატრების აგება ხდებოდეს მხოლოდ სახელოვნო კომიტეტის სათეატრო განყოფილების დასტურით, რომელმაც უნდა მოიწონოს ხოლმე ასაგებ თეატრის არქიტექტურა სათეატრო ტეხნიკის მხრივ.

სახალხო ბანკის საწყობებიდან შაქრის მოპარვა

რამოდენიმე დღის წინათ სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილების № 1 საწყობიდგან ყალბი ორდერით ორჯერ იქმნა გატანილი 110 ფუთი შაქარი და 10 ფ. ჩაი. როგორც მე-4 კომისარიატის მილიციის უფროსის ენერგიული მიღებულ ზომებიდან გამოირკვა ბოროტ-მოქმედება ყოფილა ჩადენილი ჭიჭიკო და აკაკი ცქიტიშვილების მიერ ბუღუჟიანის ხელმძღვანელობით. კომისარ ვ. მაღრაძის და მის თანაშემწე ს. ცინცაძის ენერგიული მუშაობით საქმე გამორკვეულია და ბოროტმომქმედნი დაპატიმრებული არიან.

სააგიტაციო-მხატვრულ პლაკატზე

თებერვლის და შემდეგ ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე, როცა სააგიტ-პროპაგანდო, პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობამ ნაკადულივით ამოხეთქა და დაიწყო დენა ყოველ მხრივ გაზაფხულის წყლებივით, უპირველეს ყოვლისა სააგიტაციო მუშაობას მიეშველა „იზოპლაკატი".

ყოველდღიურად სულ ახალი და ახალი პლაკატებით მზადდებოდა და არ წასულა არც ერთი საჭირბოროტო კითხვა, დაკვრითი ხასიათის კამპანია, ან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებათა ეტაპები, როგ. მაგ.—დენიკინის ფრონტი, ვრანგელი, პეტლიურა, სიმშილი ვოლგის მხარეში აღდგენა ტრანსპორტისა, წარმოებისა და სხვა, რომ მხატვრულ პლაკატთა ფართე გამოცემა არ მოჰყოლოდეს ყოველთვის. ყველა საკალენდრო დღესასწაულებს თან მიჰყვებოდა აგიტპლაკატები. პლაკატით სარგებლობდა აგრეთვე „რადიო-როსტა", სისტემატიურად იძლეოდა საერთაშორისო მდგომარეობის ილიუსტრაციების ახალ ამბებს. ყოველი გაზეთი სცდილობდა მორთულიყო, რაც შეიძლება მეტი შარჟით და პორტრეტით.

მხატვრული პლაკატით, მხატვრული ბეჭდვით სარგებლობდენ, როგორც აგიტაციის ნათელი საშვალებით.

წლების განმავლობაში მოთხოვნილება პლაკატისადმი იცვლებოდა და თუ 18—19 წწ. გამოდიოდა ის ზეზეურად, 20 და 23 წელში იწყო გამოსვლა უფრო რთულმა პლაკატმა, უფრო სააგიტაციომ, მომეტებულ ლექსებით, რომლებიც სწურავდენ შინაარსს მთელი სერიებით და სხვა.

იმის და პარალელათ, როგორც დაკვრითი ხასიათის კამპანიები გაღრმავებულ იქნენ, ხოლო შემდეგ გადავიდენ სააგიტპროპო კამპანიებზე,—როგორც მაგალითად—წარმოებითი, სასოფლო-სამეურნეო, ანტირელიგიური აგიტპლაკატები ხდებოდენ უფრო რთული და რთული ფართე შინაარსის—თეზისებით, სტატისტიკური ანგარიშებით, რომლებიც ღრმად აშუქებდენ თემის სრულ შინაარსს.

მართალია, მოსკოვმა გამოსცა მთელი რიგი პლაკატთა, როგორც მაგ. „ჩვენ ომები არ გვსურს, მაგრამ საბჭოებს კი დავიცავთ", „წითელ გუშაგს არ სურს სისხლი, მაგრამ სდგას ის მაინც მზათ", პლაკატები სიმშილზე ვოლგას მხარეში, ოქროს სესხის შესახებ და სხვა.

არის მთელი რიგი სერიათა მხატვრულ სტატისტ. დიაგრამა—პლაკატებისა. მაგრამ ამასთან ერთად გამოდის პლაკატები, რომლებიც ძალიან ცოტას გვეუბნებიან როგორც შინაარსით, ისე მხატვრული მხრივ. პლაკატს არ ექცევა სათანადო ყურადღება. აქ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში საკითხი მხატვრულ პლაკატის შესახებ მეტად მწვავედ სდგას. ჩვენი ორგანიზაციები,—პარტიული, პროფესიული, საბჭოთა—ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას აგიტ-პლაკატს.

ხდება ხოლმე, რომ სხვა და სხვა აგიტ-კომისიებში კამპანიის ჩასატარებლად, ხშირად ჩააქნევენ ხოლმე ხელს, როცა საკითხი მიადგება აგიტპლაკატის გამოცემის შესახებ, ამბობენ, რომ შეიძლება გვერდი აუაროთ პლაკატებს, რომ ის ეხლა საჭირო არ არისო და სხვა.

მართალია, არ არის საჭირო პრიმიტიული პლაკატი, რომელიც ძლივს იტევს და, ხშირად, ვერც კი იტევს სრულად ერთ ლოზუნგს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პლაკატი, როგორც საუკეთესო და ნათელი საშვალება აგიტაციისა, არ შეიძლება „მოდიდან" გავიდეს, განსაკუთრებით აქ, ამიერ-კავკასიაში, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ყოველივე ფერადსა და ნათელს.

მეორე მხრივ ხშირად მოულოდნელად, საჩქაროთ გამოდის მხატვრული პლაკატი სხვა და სხვა ორგანიზაციების—ახალგაზრდათა კომკავშირის, არმიის, კოოპერაციის, პროფკავშირების ინიციატივით, უმეტეს შემთხვევაში ერთობ უვარგისი, რაზედაც დიდი ფული იხარჯება.

მაგალითად, ისეთ დღეს, როგორიც იყო დღე საერთაშორისო კოოპერაციისა, როცა შეიძლებოდა გაშვებულიყო ფრიად შინაარსიანი პლაკატები დღის ისტორიულის გაშუქებით, მისი მნიშვნელობის განმარტებით, და ქალაქისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის ახსნით, ცეკავშირმა გამოსცა პლაკატები, რომლებიც ტეხნიკის ფერისა და კომპოზიციის მხრით ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს; ეს კიდევ არაფერი, მთავარი ისაა, რომ დღის თემის შინაარსიც არ იყო გამოთქმული.

ლოზუნგი პლაკატზე შემდეგია. მოაწყვეთ კოოპერაცია, ეს არის გზა მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისა, ხოლო ეს გამოთქმულია ასე: რამოდენიმე მუშა აშენებს უსიცოცხლო მოძრაობით რაღაც შენობის ნაწილებს, ხოლო ერთი მუშათაგანი ხელს უწვდის მოხუც ქალს ცელით. ნუ თუ ამაში გამოიხატება კავშირი მუშათა და გლეხთა.

ასეთი მაგალითები რამდენიც გნებავთ. საჭიროა სააგიტაციო ორგანოებმა მიაქციონ სათანადო ყურადღება მხატვრულ პლაკატს, შესწყვიტონ კერძო ორგანიზაციების მიერ პლაკატთა გამოცემა, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ სამხატვრო და სააგიტაციო მუშაობასთან.

სახალხო განათლების კომისარიატმა, მთავარ პოლიტ სამმართველომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამას და გამოსცენ პლაკატები ისე, რომ ერთის მხრივ ისინი აკმაყოფილებდენ საპლაკატო ხელოვნების ახალ მოთხოვნილებებს, შინაარსის ღრმა გადმოცემით, ხოლო მეორეს მხრივ შინაარსის მხრით შეესაბამებოდენ გარკვეულ თემას, განსაზღვრულ აგიტამოცანას, სხვა და სხვა ორგანიზაციათა დაკვეთის მიხედვით.

ხ. ეგიკოვი.

პროვინციაში

ქ. სამტრედია.

სიმინდის ფასების საარაკო დაცემის გამო წელს გლეხები განიცდიან დიდს ეკონომიურ კრიზისს. მაგრამ ამას არ შეუშინებია აქაური მიწის მუშა და მან თითქმის ერთი მტკაველი მიწაც არ დასტოვა დაუმუშავებელი. პური ცოტა იყო წელს დათესილი რაიონში. მისი მოსავალი საშუალოა, კარგი პირი უჩანს სიმინდს. ამინდები კარგია და თუ ასე გაგრძელდა, უნდა ვიფიქროთ, რომ სიმინდის მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება. მალიარიამ უკვე დაიწყო თავისი განმანადგურებელი მუშაობა. აგრეთვე გავრცელდა მუცლის ავადმყოფობა, რომელმაც რამოდენიმე ადამიანი უკვე იმსხვერპლა. საჭიროა ქალაქში სანიტარული წესების ზედმიწევნით დაცვა.

ხილის მოსავალი წელს მთელს რაიონში არ იყო მაინცა და მაინც კარგი და რაც იყო მას ფასებიც კარგი აქვს. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ გაძვირდა ყოველ-გვარი სურსათ-სანოვაგე და ფართლეულობა.

გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან ქალაქის მილიციის უფროსი სტურუა, მის ადგილზე დაინიშნა ამხ. წულუკიძე.

ქალაქის ფარგლებში და თვით ქალაქში ძლიერ გახშირდა საღამოების მართვა, სადაც ხშირია ლოთობა და უსიამოვნება. საჭიროა აღმასკომმა მიაქციოს ამას სათანადო ყურადღება.

ხან—კანი.

ს. წყნეთი.

წყნეთში არსებობს სკოლა, რომელიც სამოსწავლო წლის განმავლობაში გლეხის შვილების განათლების კერაა; ზაფხულობით კი, მის დარბაზში იმართება წარმოდგენა—საღამოები. წარმოდგენები იმართება შაბათ-კვირაობით, როგორც ადგილობრივი ძალებით, აგრეთვე ტფილისიდან ჩამოსულ მსახიობთა მიერ.

ამ ზაფხულს სკოლის შენობას დაეპატრონა რუსული კოლექტივი (კალინინი, ციმსკი და კომპ.) ამბობენ რომ მათ აქვთ ხელშეკრულება მთავრობასთან რომ მხოლოდ მათ მართონ საღამოები ამ შენობაში შაბათ-კვირაობით. მაგრამ უნდა ვიკითხოთ რამდენად გამოსადეგია ადგილობრივი გლეხისთვის მათი რეპერტუარი? ვისთვის იმართება რუსული წარმოდგენები—ადგილობრივ გლეხებისთვის, რომელთაც რუსული არ იციან სრულებით—თუ ათიოდე ტფილისიდან ჩასულ სპეკულიანტ „დაჩნიკებს".

დასაშვებია საქართველოს სოფელში, სადაც მშრომელი გლეხობა სცხოვრობს გამოდიოდენ ბ. კალინინი თავისი ბოშური რომანსებით და ციმსკი დრო მოჭმული, უაზრო კუპლეტებით? ადგილობრივი გლეხები გულდაწყვეტილია, რომ დარბაზი დაკავებული აქვთ არა სასურველ პირებს და მოკლებული არიან საშუალებას დაესწრონ ქართულ წარმოდგენებს. საჭიროა მთავრობის და განათლების კომისარიატის ყურადღება საქმის გამოსასწორებლათ.

ჯინჯარი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

პირობები

ს. ს. ს. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის 1923—24 სამოსწავლო წელში

1. წესები

უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისათვის 1923 წ.

§ 1. ეს წესები გამოცემულია თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა დებულებისა, რათა ამ სასწავლებლების მსნელთა შემადგენლობა შევსებულ იქნეს უმეტესად იმ პირთაგან, რომელნიც ჩამომავლობით და მდგომარეობით ეკუთვნიან პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას.

§ 2. მსმენელთა ჩარიცხვის ჩასატარებლად 1923—24 წლებში შესდგება: ა) ცენტრალური მიმღები კომიტეტი პროფგანათლების მთავარ მმართველობასთან. ბ) ადგილობრივი მიმღები კომისიები ყველა უმაღლეს სასწავლებლებთან. ეს კომისიები მოქმედებენ მათთვის განსაკუთრებულად დამუშავებულ დებულების მიხედვით.

§ 3. უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველნი მიჰმართავენ თხოვნით იმ სასწავლებლის მიმღებ კომისიას, რომელ სასწავლებელშიაც სურთ შესვლა (ვინც მივლინებული არ არის), ანუ რომელშიაც ისინი მივლინებული არიან ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ. თხოვნაში უნდა აღინიშნოს შემდეგი ცნობები: ა) ფაკულტეტი, რომელზედაც შესვლა ჰსურს მთხოვნელს, ბ) ფასიანი, თუ უფასო ვაკანსიის დაკავება სურს მთხოვნელს.

§ 4. მე-3 §-ში ნაჩვენებ ცნობებს აუცილებლად თან დაერთვის:

ა) წლოვანების საბუთი (მეტრიკული მოწმობა), შრომის წიგნაკი და სხვა.

ბ) საბუთი სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებისა (მამაკაცთათვის).

გ) საბუთი მუშათა ფაკულტეტის, ანუ რომელიმე საშუალო სასწავლებლის სწავლა დამთავრების შესახებ.

დ) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

ე) მივლინების მოწმობა (მივლინებულთათვის).

ვ) ანკეტა, თანდართულ ფორმის მიხედვით, ჯეროვანად შემოწმებული—მივლინებისა სათანადო ორგანიზაციის მიერ, ხოლო დანარჩენებისა—პარტიულ, პროფესიონალურ, ან საბჭოთა ორგანიზაციების მიერ.

შენიშვნა 1: საბუთები, აღნიშნული „ა", „ბ" და „გ"-ს ლიტერებით, თან დაერთვის თხოვნას დედანის სახით და კანონიერად შემოწმებულ ასლებით ორ ცალად.

შენიშვნა 2: ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან მშრომელ გლეხობას და შედიან სასწავლებლებში არა მივლინების წესით, ადგენენ აგრეთვე სასოფლო და სათემო აღმასკომების მოწმობას, მთხოვნელთა სოციალურ მდგომარეობის აღნიშვნით.

§ 5. განცხადებათა მიღებას აწარმოებენ უმაღლეს სასწავლებელთა კანცელარიებში 1-ლ აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე. განცხადებანი, რომელნიც აღნიშნულ ვადის შემდეგ შემოვლენ, არ განიხილებიან.

§ 6. უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველნი, გარდა მუშათა ფაკულტეტებზე კურს დამთავრებულებისა, აბარებენ გამოცდებს იმ საგნებში და იმ პროგრამების მიხედვით, რომელსაც ყოველ თვითეულ ფაკულტეტისათვის ამტკიცებს პროფგანათლების მთავარ მმართველობის გამგეობა.

შენიშვნა: სამხატვრო-პროფესიონალურ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელნი აბარებენ, გარდა ამისა, კიდევ განსაკუთრებულ გამოცდას, რომელსაც მიზნად აქვს გამოარკვიოს შემსვლელთა სამხატვრო ნიჭი და მომზადების ხარისხი ამა თუ იმ ხელოვნების დარგში.

§ 7. წინა §-ში აღნიშნულ გამოცდას არავითარ შემთხვევაში არა აქვს საკონკურსო გამოცდის ხასიათი, არამედ მისი მიზანია გამოარკვიოს, შეუძლიან თუ არა მთხოვნელს თავისი განვითარებისა და ფორმალურ ცოდნის მიხედვით ნაყოფიერად იმუშაოს უმაღლეს სასწავლებლებში. გამოცდები სწარმოებს განსაკუთრებულ ინსტრუქციის ფარგლებში.

§ 8. გამოცდები ხდება 1-დან 15 ენკენისთვემდე. ვინც ამ ვადაზე გამოცდებს არ ჩააბარებს, იგი ჰკარგავს უფლებას 1923 წელში უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას. ამასთანავე არავითარ გამონაკლისს ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება.

§ 9. ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ მუშათა ფაკულტეტი, გზავნიან თავიანთ საბუთებს, ანკეტებს და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში პროფგანათლების მთავარმმართველობასთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის სექტორის მიერ მისაღებ ადგილების განაწილების მიხედვით, ისეთი ვარაუდით კი, რომ ეს საბუთები მიღებულ იქნეს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის მიმღებ კომისიის მიერ არა უგვიანეს 5 სექტემბრისა. ვინც აღნიშნულ ვადაზე საბუთებს არ წარმოადგენს, იგი ჰკარგავს უფლებას შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში წინამდებარე აკადემიურ წელში.

§ 10. წინა §-ში ნაჩვენებ კატეგორიის კანდიდატები ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებელში მექანიურად.

§ 11. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ პირთა მივლინება შეუძლიან სამაზრო და საოლქო აღმასკომებს, პროფკავშირთა კულტგანყოფილებათ და საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს კლასიური გადარჩევის მიხედვით და განსაკუთრებული ინსტრუქციით ყოველნაირ რიცხობრივ შეუზღუდველად.

§ 12. მუშათა ფაკულტეტზე სწავლა დამთავრებულთა ჩარიცხვის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში ჩამორჩენილი თავისუფალი ვაკანსიები ნაწილდება შემდეგ ნაირად:

ა) კომუნისტურ პარტიას	20	პროც.
ბ) ს. ს. პროფკავშირს	30	„
გ) ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს	15	„
დ) წითელ-არმიელებს	2	„
ე) სამაზრო აღმასკომებს განათლების სახალხო კომისარიატის განაწილებით	3	„
ვ) ფასიანი ადგილები	30	„

§ 13. ის პირნი, რომელნიც შეიტანენ განცხადებას მუშათა ფაკულტეტების კურს დამთავრებულთა მიღების შემდეგ დარჩენილ ვაკანსიებზე ჩასარიცხად (იხ. მე-10 პარაგ. ამ წესდებისა), მიიღებიან კლასობრივი ჩარიცხვის პირობებით. უკეთუ ცნობილ იქნებიან უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობისათვის სათანადოთ მომზადებულად.

შენიშვნა: მივლინება არ იძლევა აუცილებელ გარანტიას ჩარიცხვისათვის.

§ 14. მსნენელთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას ახდენს ადგილობრივი მიმღები კომისია 15-დან 20 სექტემბრამდე.

§ 15. საჩივარი ადგილობრივ მიმღებ კომისიაზე მიეცემა პროფგანათლების მთავარ მმართველობასთან არსებულ ცენტრალურ მიმღებ კომისიას არა უგვიანეს 25 სექტემბრისა. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

§ 16. ის პირნი, რომელნიც ჩარიცხულნი იქნებიან ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლებში და არ შეუდგებიან მუშაობას 1 ნოემბრამდე, მექანიურად გარიცხულ იქნებიან სასწავლებლიდან, ხოლო ამნაირად განთავისუფლებულ ვაკანსიებზე მიიღებიან კანდიდატები.

2. მისაღებ გამოცდების შესახებ.

§ 17. მისაღები გამოცდები სწარმოებს თანახმად 1923 წლის „მიღების წესდების" მე-6, 7 და მე-8 მუხლთა მოთხოვნისა.

§ 18. პირობითი ჩარიცხვა იმ ვალდებულებით, რომ შემსვლელმა ჩააბაროს გამოცდები რომელიმე სხვა ვადაზე შემდეგში, დაუშვებელია.

§ 19. გამოცდათა სხვა და სხვაობას (კოლლოკვიუმებს, წერითი სამუშაოებს და სხვ.) ადგენს გამომცდელი კომისია თანახმად პროფგანათლების მთავარმმართველობის მიერ მიცემულ ინსტრუქციისა და მიმღებ კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ.

§ 20. გამოცდები სწარმოებს მიმღებ კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ ამა თუ იმ გამომცდელ კომისიაში, რომელიც შესდგება უმაღლეს სასწავლებლის პროფესორთა და მასწავლებელთაგან. გამომცდელ კომისიის პერსონალურ შემადგენლობას არკვევს უმაღლეს სასწავლებლის გამგეობა, ხოლო ამტკიცებს პროფგანათლების მთავარ-მმართველობა.

§ 21. გამოცდებს აწარმოებს გამომცდელი კომისია თანახმად იმ სიებისა, რომელთაც უდგენს მას ადგილობრივი მიმღები კომისია, გამოცდების შედეგს თავისი დასკვნითურთ პირველი კომისია გადასცემს მეორეს.

3. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შესახებ

§ 22. ადგილობრივი მიმღები კომისია, მისდამი გამომცდელ კომისიის მიერ გაცემულ მასალათა მიხედვით, ახდენს სტუდენტთა ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებლებში სექტემბრის 15-დან 20-მდე.

§ 23. სტუდენტთა ჩარიცხვა უფასო ადგილებზე სწარმოებს ამ სახით; პირველ რიგში ჩაირიცხებიან მუშათა ფაკულტეტის კურს დამთავრებულნი, მეორე რიგში მივლინებულნი და ის პირნი, რომელთაც არ აქვთ მივლინება კლასობრივ ჩარიცხვის პრინციპის მიხედვით. ყველა ზემო-აღნიშნული, დამოუკიდებლად იმისა, აქვთ, თუ არა მივლინება, განიყოფებიან ქვემოხსენებულ ჯგუფებად და ჩაირიცხებიან თავისუფალ უფასო ადგილებზე თანდათანობითი წესით: 1) კომპარტიის წევრნი; 2) ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრნი; 3) მუშები და მათი შვილები; 4) უღარიბესი გლეხები და მათი შვილები; (კომპარტიის და სამაზრო აღმასკომების მოწმობით), 5) დამსახურებულ რევოლიუციონერთა შვილები, 6) სამოქალაქო ომში აქტიურად მონაწილენი (ჯარში მოსამსახურენი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობასა და ომებში), 7) წითელ-არმიელნი, 8) უფშემადგენლობის, აღმშემადგენლობის და კომისართა შემადგენლობის და აგრეთვე წითელი არმიის და ფლოტის პოლიტეხნიკური მუშაკნი და მათი შვილები; 9) წითელ არმიის და ფლოტის დაჭრილ-დასახიჩრებულთა შვილები; 10) პროფკავშირთა წევრნი და მათი შვილები. თუ ამ წევრთა თვიური ჯამაგირი არ აღემატება მე-10 კატეგორიას 11) უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორების და მასწავლებელთა შვილები; 12) ამავე სასწავლებელთა დანარჩენ მოსამსახურე პერსონალის შვილები; 13) სასკოლო მუშაკნი და მათი შვილები; 14) სახელმწიფო პენსიონერების შვილები.

§ 24. უკეთუ კლასობრივ მიღების პრინციპის მიხედვით უფასო ადგილებზე ჩასარიცხ პირთა რიცხვი ნაკლები აღმოჩნდა და დარჩა თავისუფალი ადგილები, ეს თავისუფალი ვაკანსიები შეივსება გარეშე, ფასიან ადგილებზე ჩასარიცხავ კანდიდატებით, მაგრამ არა უმეტეს საერთო მიღებულთა რიცხვის 35 პროც.-ისა; გამონაკლისს შეადგენენ უმაღლესი სამხატვრო-სახელოვნო სასწავლებლებში, სადაც ფასიანი პროც. განისაზღვრება ცალკე.

§ 25. ადგილობრივ მიმღებ კომისიებს კატეგორიულად აეკრძალება გადაამეტონ ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში ცენტრის მიერ განსაზღვრულ მისაღებ მსმენელთა რიცხვს,—იშვიათ შემთხვევაში და პროფგანათლების მთავარმმართველობის განსაკუთრებულ ნებართვით შეიძლება თითო ორ-ორობით ამა თუ იმ სასწავლებელში განსაზღვრულ ნორმაზე ზედმეტად მსმენელთა მიღება.

§ 26. სექტ
გამოკიდებულ
წავლებლის თვა
ლებულ მსმენელთ

§ 27.
კომების არა
შესახებ
ლებელთან არსებულ
სიაში.

§ 28. საჩივრები ადგილ
ღებ კომისიების არასა
მოქმედების შესახებ იგზავნე
კომისიის საშუალებით ცენტ
პროფგანათლების მთავარმმა
ლობასთან არსებულ მიმღებ კომისიაში. ადგილობრივი მიმღები კომისია მოვალეა 5 დღის განმავლობაში გადაგზავნოს საჩივარი თავისი დასკვნითურთ ცენტრალურ მიმღებ კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება ჩაითვლება საბოლოოდ.

25 ივლისი 1923 წ.

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველი **მიქაბერიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— სამშაბათს, 31 ივლისს, საღამოს 5 საათზე მე-4რაიკომის ქალთა განყოფილება აწყობს დელეგატ ქალების ექსკურსიას.

წინადადება ეძლევა ყველა დელეგატ ქალებს შეგროვდენ მე-4 რაიკომში დღის 4 ნახ. საათზე.

მე-4 რაიკომის განყოფილების გამგე **პენიაკოვა.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. ლევან მირზოიანს, ალექსანდრე აკუნცავს, სარქის ტრდატიანს, ევგენი კერესელიძეს და ალექსი მაისურაძეს. ორი დღის განმავლობაში გამოცხადენ რაიკომში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **არუსტანოვი.**

განცხადებები

საქართველ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან
(ყოფ. გაზტრესტი), **რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43.**

აგვისტოს თვეში გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	2.000.000	მან.
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.500.000	„
ერთი ეგზემპლიარი	100.000	„
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ"-ზე. თვიური ფასი შინ მიტანით	500.000	„

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 აგვისტომდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 8—7

განცხადება

იმ ვექილობის ძალით, რომელიც მაქვს მოცემული მე „კავკასია-სპარსეთის სავაჭრო სამრეწველო" ამხანაგობისაგან დამოწმებულის თბილისის ნოტარიუსის ქართველიშვილის მიერ ამა 1923 წლის 8 მარტის თარიღით და რომლითაც მარტო მე მეკუთვნის უფლება „კავკასიასსპარსეთის სავაჭრო სამრეწველო" ამხანაგობის საქმეების ლიკვიდაციის მოხდენისა, ამით ვაცხადებ **გაუქმებულად** ყველა იმ ვექილობებს, რომელნიც არიან გაცემული ამხანაგობის მიერ ამა წლის 8 მარტამდის. აგრეთვე ვაუქმებ ზემო აღნიშნულ ვექილობების ძალით მესამე პირებზედ გაცემულ ვექილობებს.

კავკასია-სპარსეთის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის საქმეთა ლიკვიდატორი: **ის. ვარაზაშვილი.**

ქ. თბილისი, 30 ივლისი 1923 წელი. (კვ. 1017—1—1)

მეწველი 3 ძროხა

იყიდება ქალაქიდან წასვლის გამო, სოლოლაკის ქ. კუთხე № 1, სასტუმრო „ინტერნაციონალ"-ის კონტორა, დღის 3 საათიდან საღამოს 6 საათამდე, იკითხეთ შალამბერიძე. (კვ. 1015—1—1)

ტფილ. აღმასკომის სამმართველოს განყოფილება

აცხადებს შეჯიბრებას ტფილისის მილიციის თანამშრომლებისათვის 659 „კომპლექტი" საზაფხულო ტანისამოსის შეკერვის იჯარით გაცემაზე.

შეჯიბრება დანიშნულია ა. წ. 1 აგვისტოს დღით 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (დუმბაძის ქ., ყოფილი ველიამინოვის, № 7, ოთახი 8).

ვისაც სურს მიიღოს შეჯიბრებაში მონაწილეობა, უნდა წარმოადგინოს განცხადებები დაბეჭდილ კონვერტში ცნობით განყოფილების სალაროში გირაოთ 50.000.000 მანეთის შეტანაზე.

დაწვრილებითი პირობების გასაგებად მიმართეთ განყოფილების სამნეო ნაწილის უფროსს.

სამმართველოს განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი: **თაქთაქიშვილი.**

ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი: **ახვლედიანი.**

კრ. 545 3—2

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **ბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
0—11 კურსების გამგე **ი. პალატნიკოვი.**

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით ჩინებული დარბაზებით
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალოს სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით, ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—26—8)

დაიკარგა საბჭოთა მოსამსახურეობის კავშირის წიგნაკი № 7859, სერგო ფარნ ოზის ძე ქამუშაძის სახელზე გაცემული, ჩაითვალოს გაუქმებულად. (კვ. 1014—1—1)

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 818 სირანუშ მურადიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1013—1—1)

დაიკარგა სპარსეთის გენერალურ საელჩოს მიერ პეტროგრადში მოცემული პასპორტი ისკანდერ მეხტი-ზადეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (კვ. 1016—1—1)

„შრომის [illegible]" სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.